აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№136 (25.016) სამშაბათი, 13 - 14 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ანაკლიის პორტი სახელმწიფო თანამონაწილეობით აშენდება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. „ჩვენი გადაწყვეტილებით, ანაკლიის პორტი აშენდება სახელმწიფოს თანამონაწილეობით, სადაც 51%-ის მფლობელი იქნება სახელმწიფო, დანარჩენზე გამოვაცხადებთ საერთაშორისო კონკურსს და შევარჩევთ პარტნიორ კომპანიებს“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის მინისტერიალში“ მიიღო მონაწილეობა, რომელიც ბრიუსელში გუშინ გაიმართა. საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სიტყვით მიმართა ღონისძიების მონაწილეებს. ვიზიტის ფარგლებში, მინისტრმა შეხვედრები გამართა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელთან; სამეზობლოსა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან და კოლეგა მინისტრებთან.

* * *

ჩვენი მდებარეობიდან და პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, გააზრებული გვაქვს, რომ დიდი და ძლიერი რეზერვი გვჭირდება, - ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ მთავრობის სხდომის შემდეგ პრესკონფერენციაზე აღნიშნა. მისი განცხადებით, თავდაცვის კოდექსში სტუდენტების გაწვევის საკითხი გათვალისწინებულია. „სტუდენტებს ექნებათ საშუალება, რომ წელიწადში ერთხელ სამხედრო მომზადების ერთთვიანი კურსი გაიარონ. ასევე, სამხედრო მოხალისეობა სრულად თავდაცვის სამინისტროს მიერ კონტროლირებადი იქნება“, - თქვა მან.

* * *

რუსეთთან სავიზო რეჟიმის აღდგენას აქვს ძალიან ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა, ამას მხარს უჭერს გამოკითხულთა 80 პროცენტი, ეს არის დღეს გადაუდებელი ამოცანა და არა ის, რომ ხელისუფლება ემუქრებოდეს პასპორტების წართმევით მათ, ვინც პუტინის რეჟიმს ებრძვის უკრაინაში, - ამის შესახებ „ლელოს“ დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა რუსეთის მხრიდან საქართველოსთან ფრენების აღდგენის შესაძლებლობის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას. მისივე თქმით, ეს რუსეთის მხრიდან პროპაგანდისტული გზავნილია, თუმცა საქართველოს მოქალაქეებს კარგად ესმით, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს.

მოამზადა
ია შველიძემ

გაიხსნა სამტრედია-გრიგოლეთის და გრიგოლეთი-ქობულეთის გზები

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

სამტრედია-გრიგოლეთის და გრიგოლეთი-ქობულეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ჯამში 15 კილომეტრზე მოძრაობა გაიხსნა - ინფორმაციას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს

სამტრედია-გრიგოლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 10-კილომეტრიანი მონაკვეთი „4-ზოლიანია, ასევე, 4-ზოლიანია გრიგოლეთი-ქობულეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 5-კილომეტრიანი მონაკვეთიც, რომელიც ურეკის მიმდებარედ, კაპროვანთან იწყება, გაივლის საკონცერტო დარბაზ „ბლექ სი არენას“ უკან და შეკვეთილში, ქობულეთის შემოვლით გზას უკავშირდება.

მთლიანობაში გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოები მოიცავს 14.4 კმ-იანი ასფალტ-ბეტონის გზის, 22 სახიდე გადასასვლელის, 4 სატრანსპორტო კვანძის, წყალგამტარი მილების და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობას.

სამუშაოები ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მხარდაჭერით მიმდინარეობდა, რომლის ღირებულებამაც 113 მილიონი ლარი შეადგინა.

მეგზაურების დაჯილდოება

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2022 წლის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. გზების დეპარტამენტის უფროსმა მამუკა თურმანიძემ 2022 წელს განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა

2022 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვისთვის 53 792 069 ლარი დაიხარჯება. მიმდინარე წელს 17 მიმართულებით მოეწყო ასფალტ-ბეტონის საფარი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 30,55 კმ სიგრძის საავტომობილო გზას. ასევე, 7 საავტომობილო გზაზე (19,25კმ) მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის მოწყობის სამუშაოები, რომელიც მომავალ წელს დასრულდება. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა მიმართულებებით 190 ხელოვნური ნაგებობა მოეწყო. აშენდა და რეაბილიტირდა 13 ხიდი. დასრულდა 167 საყრდენი კედლის მშენებლობა და მოეწყო 10 დამცავი ნაგებობა. 70 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე სხვადასხვა მიმართულებით მოეწყო ცემენტ-ბეტონის საფარი. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის, მოვლა-შენახვის პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 59 549 259 ლარს. 2023 წელს დაგეგმილია: 19 მიმართულებით 49,09 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა, 70 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, 209 ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა-მოწყობა: 32 ხიდის, 142 საყრდენი კედლის მშენებლობა, ასევე 35 წყალარინებისა და დამცავი ნაგებობების მოწყობა. პრეზენტაციის დასასრულს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის უწყების 6 თანამშრომელი დაჯილდოვდა.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

წლის ფალავანი გამოვლინდა 2

რა ბერკეტები არსებობს შშმ ქალთა გაძლიერებისთვის? 4

ცივილიზაციური ომი რუსეთსა და დასავლეთს შორის 3

ბეშუმსა და 13 სოფელში სასმელი წყლის სისტემები მოეწყო 6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

სასწრაფო დახმარების სამსახურში ცვლილებები იგეგმება

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

მთავრობის ინიციატივით, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში შედის ცვლილებები, რომელთა თანახმადაც პაციენტებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას პარამედიკოსები გაუწევენ.

მთავრობაში განმარტავენ, რომ შესწავლილი და გაანალიზებულია 50-ზე მეტი ქვეყნის საერთაშორისო გამოცდილება

„პარამედიკოსი, საერთაშორისო კვლევების თანახმად, ეფექტურია ექიმთან შედარებით გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისას, რადგან მას აქვს შესაბამისი ფიზიკური უნარები, მოქმედებს დროის მოკლე პერიოდში პროტოკოლებით, სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით და საჭიროებისას ახდენს დროულ ჰოსპიტალიზაციას“, - აღნიშნულია განმარტებაში.

ცვლილებების გათვალისწინებით, პარამედიკოსის კომპეტენციას ჯანდაცვის სამინისტრო განსაზღვრავს. შესაბამისი სპეციალიზაციის კურსის გავლის შემდგომ, სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის დიპლომირებული კურსდამთავრებულის უფლებებს დაემატება პარამედიკოსის პოზიციაზე საქმიანობის უფლება.

მთავრობის ინფორმაციით, ეს პროგრამა განხორციელდება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის არსებული ადამიანური და ფინანსური რესურსების ფარგლებში დამატებითი ხარჯების გამოყოფის გარეშე.

„დღეის მდგომარეობით, ცენტრი ყოველდღიურად ემსახურება საქართველოს მოსახლეობას 317 სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა (საკუროორტო სეზონის პერიოდში ხდება დამატებით რაოდენობის ზრდა) და 19 რეფერალური დახმარების ბრიგადების მეშვეობით. გამოძახებების საშუალო რაოდენობა 24 საათში შეადგენს 3500-ს“, - ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

პროექტი მოიაზრებს 3 ათასი პარამედიკოსის მომზადებას, ყოველწლიურად იგეგმება 100-110 პარამედიკოსის გადამზადება, რაც წარმოადგენს ყოველწლიური საკადრო გადინების და არსებული ვაკანსიების შევსების მინიმალურ საჭიროებას. ცენტრს აქვს ყოველწლიურად საკადრო გადინება. 2020 წელს ის შეადგენდა 108, 2021 წელს - 87, ხოლო 2022 წელს - 69 თანამშრომელს.

თითოეული პირის მომზადების ხარჯი შეადგენს 1.600 ლარს. გადამზადების ხარჯი იქნება 160-176 ათასი ლარი ყოველწლიურად.

ბათუმელი აკრობატები ისევ პირველები არიან

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

უკვე არაერთი წელია, ბათუმელი აკრობატები თითქმის ყველა შეჯიბრებაზე წარმატებულად გამოდიან. ამჯერადაც ასე იყო. თბილისში გამართულ საქართველოს პირველობაზე სპორტულ აკრობატიკაში ჩვენმა გოგონებმა შესანიშნავად იასპარეზეს და ბათუმში რამდენიმე მაღალი სინჯის მედლებით დაგვიბრუნდნენ

შეჯიბრებაში ხუთი გუნდი მონაწილეობდა, თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, თერჯოლისა და ბათუმის.

ბათუმელ გოგონათა სამეულმა პატარების მეორე თანრიგში - ბარბარე მახარაძემ, მერი დუმბაძემ და ანასტასია შარაძემ პირველი ადგილი დაისაკუთრა. პირველი ადგილი მოიპოვა ასევე პატარების პირველ თანრიგში გოგონათა სამეულმა - ნინო სურმანიძის, ნუცა გიორგაძისა და ქეთევან კუპრაძის შემადგენლობით.

წარმატებულად გამოვიდა ბათუმელი აკრობატების ორეული პატარების პირველ თანრიგშიც - თეკლა მახარაძე და ნინი ლამპარაძე და დიდების მესამე თანრიგში სამეული - იოანა შერვაშიძის, დიანა ბასილაძისა და დეა მჟავანაძის შემადგენლობით, რომლებმაც ასევე პირველი ადგილები დაისაკუთრეს.

ეს წარმატება როგორც სპორტსმენების, ისე მათი მწვრთნელის მარინე სარიშვილი-კალანდაძის, ასევე ქორეოგრაფ ირმა გურგენიძის დიდი დამსახურებაა. ქალბატონი მარინე უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, დაუღალავად იღვწის სპორტის ამ ლამაზ სახეობაში და ხელს უწყობს სპორტული აკრობატიკის განვითარებას აჭარაში.

პირველად საქართველოში – ვალუტის გაცვლა ავტომობილიდან გადაუსვლელად

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

მსოფლიოში მომსახურების გამარტივებული წესით მიღება სულ უფრო აქტუალური ხდება. შესაბამისად, საქართველოშიც კომპანიები მეტად ცდილობენ, მსოფლიოს სიახლეებს ფეხი აუბან და ქართველი მომხმარებლებისთვისაც დანერგონ

ერთ-ერთ ასეთ და უპრეცედენტო სიახლეს ქართველ მომხმარებელს კომპანია „კრედიტსერვისი+“ სთავაზობს. კერძოდ, კომპანიამ პირველად საქართველოში, თბილისში ვაჟა-ფშაველას ქ. №26-ში ვალუტის გაცვლის დრაივობიექტი გახსნა, რომელიც მომხმარებელს ყოველდღე 24/7-ზე საუკეთესო კურსით ემსახურება.

ობიექტი ქართულ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტსერვისი +“-ს ეკუთვნის, რომელიც ბაზარზე 23 წელია ოპერირებს. ემსახურება მცირე და საშუალო ბიზნესს, აქვს ასევე სალომბარდე და სხვა არასაკრედიტო პროდუქტების მომსახურება, როგორიც არის, გზავნილები, კომუნალური გადახდები, ვალუტის გაცვლა და სხვა.

სწორედ, მათ ეკუთვნით ბაზრისთვის ინოვაციური პროდუქტი - პირველად საქართველოში ვალუტის გაცვლა ავტომობილიდან გადაუსვლელად 24/7-ზე!

წლის ფალავანი გამოვლინდა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის ყველა რეგიონში ჩატარებულ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ფალავნებმა ქუთაისში, საქართველოს 2022 წლის აბსოლუტური ფალავნის ტიტულის მოსაპოვებლად იასპარეზეს. აჭარის ღირსებას ბაჩანა ბოლქვაძე იცავდა

მას ძლიერი მეტოქე შეხვდა და ასპარეზობას მალე გამოეთიშა.

ქართულ ჭიდაობაში წლის ფალავანი საგარეჯოელი ლევან მატიაშვილი გახდა. ფალავნობის ვერცხლის პრიზიორი - ქუთაისელი საბა ინანეიშვილი, ფალავნობის ბრინჯაოს მედალოსანი - თბილისელი გიორგი ქავთარაძე.

- ასპარეზობა საინტერესო და სანახაობრივი იყო, - გვითხრა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯემალ წულუკიძემ, - სასიხარულოა, რომ ქართული ჭიდაობა ჩვენს სოფლებს უბრუნდება. ვულოცავთ ჩვენს საამაყო ფალავნებს ღირსეულ გამარჯვებას, წარმატებებს ვუსურვებთ.

ვიზიტიორების რიცხვი რეკორდულია

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

დაცული ტერიტორიების სააგენტომ მიმდინარე წელს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 2022 წლის 11 თვეში 882 352 ადამიანი ეწვია, რაც 54%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ დამთვალიერებელთა შორის 46% ქართველი, 54% კი უცხოელი იყო. ამასთან, სათაფლიაში, ნავენახევის მღვიმესა და მტირალას ეროვნულ პარკში ვიზიტიორთა რაოდენობამ 2019 წლის რეკორდულ მაჩვენებელს გადააჭარბა. ტურისტებისთვის ყველაზე მიმზიდველი დაცული ტერიტორიების ტოპ-5 ასეთია: პრომეთეს მღვიმე; მარტვილის კანიონი; წალკის კანიონი; სათაფლია; მტირალას ეროვნული პარკი.

გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტომ მიმდინარე წელს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით.

სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტები და აქტივობები, ერთი მხრივ, ხელს უწყობს უნიკალური ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვასა და შენარჩუნებას, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკოტურიზმის განვითარებაში, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, - აღნიშნავენ უწყებაში.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმის საკალათბურთო გუნდი საქართველოს სუპერლიგის მე-8 ტურის მატჩში სტუმრად „მეგას“ დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში 82:81 წააგო. მასპინძლებს 20 ქულით, 3 მოხსნითა და 5 გადაცემით, რონი როზიემ ულიდერა. ბათუმელთაგან კი, 27 ქულით 12 მოხსნითა და 5 გადაცემით კაილი რიდლი გამოირჩა. ამ დროისთვის შავიზღვისპირელები სუპერლიგის სატურნირო ცხრილში 2 მოგებითა და 5 მარცხით მე-9 პოზიციაზე იმყოფებიან. მომდევნო შეხვედრას „ბათუმი“ 17 დეკემბერს შინ „ტიტების“ წინააღმდეგ გამართავს

* * *

„მიკრობიოლოგიური სამყარო და ადამიანი“ - თემაზე კონფერენცია გაიმართა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შეხვედრას სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ და მიზანი მოსწავლეებისთვის მიკრობიოლოგიის მიმართულებით მეცნიერების მიღწევებზე ინფორმაციის მიწოდებაა. შეხვედრები, რომელიც საქართველოს სხვა რეგიონებშიც გაიმართა, პრეზენტაციებს, ვიქტორინასა და დისკუსიას მოიცავდა. პროექტი რუსთაველის ფონდისა და ამერიკის ბიოლოგთა საზოგადოების მხარდაჭერით ხორციელდება.

* * *

2026 წლის 1 იანვრიდან ბრალდებულებისთვის საცხოვრებელი ფართის გაზრდა იგეგმება. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ გაიზრდება ერთ ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა და ის გაუთანაბრდება მსჯავრდებულთა საცხოვრებელ ფართს, გახდება არანაკლებ 4 კვმ ასევე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რადიომიმღებისა და ტელევიზორის შეძენას დირექტორის სპეციალური თანხმობა აღარ დასჭირდება. კანონპროექტში საუბარია პატიმართა კვებაზეც. პროექტში აღნიშნულია, რომ ბრალდებული/მსჯავრდებულის მიმართ ამჟამად ყოველდღიურად განსაზღვრული კვების რაოდენობა იქნება არანაკლებ სამჯერადი. ამასთან, საკანონმდებლო პაკეტში საუბარია განათლების უფლებაზეც. კანონპროექტის მიხედვით, ყველა მსჯავრდებულს მიენიჭება აკადემიური უმაღლესი განათლების მიღების უფლება, გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა.

* * *

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის „იდეა უკეთესი ხელვაჩაურისთვის“ ფარგლებში აჭარის წყლის ადმინისტრაციულ ერთეულში საუკეთესო იდეის ავტორი ცნობილია. 3 პროექტიდან ადგილობრივების ყველაზე დიდი მოწონება საბა სურმანიძის იდეამ „მე მიყვარს აჭარისწყალი“ დაიმსახურა - ამ შინაარსის წარწერა აჭარის წყლის ცენტრში განთავსდება. არჩევნებში სულ 150 ადგილობრივი მონაწილეობდა და მათ 3 იდეიდან ერთისთვის უნდა დაეჭირათ მხარი. საუკეთესო იდეა 2023 წელს განხორციელდება, რისთვისაც ხელვაჩაურის ბიუჯეტიდან 60 000 ლარი დაიხარჯება.

* * *

აჭარაში მცხოვრები ახალგაზრდა გოგონათა და ქალთა უფლებადამცველთა პროფესიული გადამზადება - არასამთავრობო ორგანიზაცია „საორსამ“ პროექტი შეაჯამა. პროექტის ამოცანას წარმოადგენდა მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების, შშმ პირების და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების ინფორმირებულობა ეკონომიკური ძალადობისა და დაძლევის გზებთან დაკავშირებით. პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები აჭარის 6-ვე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და მოქალაქეებთან.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

ცივილიზაციური ომი რუსეთსა და დასავლეთს შორის

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მეგობრები და მტრები, არსებობენ მუდმივი ინტერესები“ - ჩერჩილის ეს ცნობილი ფრაზა ზუსტად მიანიშნებს ქვეყნების გეოპოლიტიკურ ინტერესებზე, რაც განსაზღვრავს მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებას. ჩერჩილის ეს პოსტულატი ცივი ომის დასრულების შემდეგ თითქოს ისტორიას უნდა ჩაბარებოდა, მაგრამ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო, რომ ამ სამყაროში არაფერი იცვლება: ომი, აგრესია, ეკონომიკური ექსპანსია, ეთნოწმენდა და მცოცავი ოკუპაცია კვლავ დღევანდელი მსოფლიოს რეალობაა. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ ***გელა ირემაძეს***

- მსოფლიოს გლობალური პრობლემები აფორიაქებს, მათ შორისაა რუსეთ-უკრაინის ომი, იმედია, ასევეა რუსული მცოცავი ოკუპაციაც საქართველოს მიმართ...

- როგორც მოგეხსენებათ, რუსეთ-უკრაინის ომი მეათე თვეა მიმდინარეობს და უკვე გარკვეული დასკვნების გაკეთება შეიძლება. უკრაინამ შეძლო არა მხოლოდ გამკლავებოდა რუსეთის არმიას, არამედ კონტრშეტევაზეც გადავიდა. ათი თვის განმავლობაში რუსეთმა ვერც კიევის, ვერც ხარკოვის და ვერც ოდესის აღება შეძლო. უკრაინულმა არმიამ გამოფიტა რუსული არმია და ახლა, როგორც გითხარით, წარმატებულ სამხედრო ოპერაციებს აწარმოებს დონეცკის რეგიონსა და ლუგანსკში, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი დასავლეთმა შეიტანა შეიარაღების და სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ომი, სამწუხაროდ, კიდევ რამდენიმე თვე მაინც გაგრძელდება, შეიძლება წლობითაც გაიწელოს, რაც საბოლოოდ, რუსეთისთვის უფრო სავალალო იქნება. თავიდათავი ის არის, რომ უკრაინაში ცივილიზაციური ომი მიმდინარეობს რუსეთსა და დასავლეთს, დემოკრატიასა და დიქტატურას, სინათლესა და სიბნელეს შორის. რა თქმა უნდა, სინათლეს უკრაინა განასახიერებს, სიბნელეს კი რუსეთი.

- დასავლეთის დახმარება უკრაინისადმი რომ თანმიმდევრულია, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ მაინც საინტერესოა, ბრიტანეთის ახალი ლიდერი როგორ პოზიციას დაიჭერს უკრაინასთან მიმართებით?

- რა თქმა უნდა, ბრიტანეთის პრემიერი მისი წინამორბედის გეზს გააგრძელებს და ამაში გასაკვირი არაფერია. აკი თქვა მან, რომ ბრიტანეთის მხარდაჭერა უკრაინას არ მოაკლდება და მანამდე გაგრძელდება, ვიდრე რუსეთის მარცხი არ გაფორმდება, თუმცა ისიც ცხადია, რომ დასავლეთი ცდილობს ამ ომში რუსეთის მარცხის გაჭიანურებას, რომ პუტინი კუთხეში არ მიამწყვდიოს, რომ ამ უკანასკნელმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი, რაც მსოფლიოსთვის კატასტროფული იქნება.

- რამდენად არსებობს ბირთვული ომის საფრთხე?

- საერთოდ, რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი, თუმცა არა მგონია, მსოფლიო ბირთვული საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, რადგან თუ რუსეთი უკრაინის მიმართ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, ამას მსოფლიო უყურადღებოდ არ დატოვებს. კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ-მა და ჩინეთმა რუსეთისგან მიიღეს გარანტია ბირთვული იარაღის არგამოყენების შესახებ, თუმცა, როგორც გითხარით, კრემლის მმართველებისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

- მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს საქართველოსთვის თითქოს არ უნდა ეცალოს, კვლავაც გრძელდება ჩვენი ტერიტორიების მცოცავი ოკუპაცია, რას ფიქრობთ ამაზე?

- თუ დავაკვირდებით, რუსეთი გეგმაზომიერად ახორციელებს მცოცავ ოკუპაციას ჩვენი ქვეყნის მიმართ, რასაც შორსმიმავალი მიზანი აქვს: საქართველოზე დასავლეთის გავლენის განეიტრალება და ქართულ მოსახლეობაში შიშის დათესვა. როგორც იქნა, ევროსაბჭომ, ისტორიაში პირველად, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად მოიხსენია, რაც საქართველოსთვის მნშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ძირძველი ტერიტორიები კვლავ დასავლეთის ყურადღების არეალშია. როგორც ცნობილია, რუსეთი ცდილობს, შეაგუოს მსოფლიო თანამეგობრობა კავკასიაში შექმნილ ახალ რეალობას, ანუ არსებობს „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომელებიც იმსახურებენ თანადგომას.

- უნდა ითქვას, რომ ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) დეოკუპაციისთვის დასავლეთი დიდად არ აქტიურობდა. თქვენი აზრი ამის თაობაზე...

- მსოფლიო თანამეგობრობა ამ წლების განმავლობაში იყო და არის დაკავებული რუსეთ-უკრაინის და მანამდე სირიის ომით, ასევე „ბრექსიტით“ ანუ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლით, რასაც ემატებოდა ტრამპის იზოლაციონისტური პოლიტიკა ევროპის და მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ. შემდეგ იყო პანდემია (გლობალური პრობლემა) და ახლა - რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი ომი, რითაც რუსეთი ცდილობს ახალი იმპერიის აღდგენას, თუმცა დასავლეთის დახმარებით უკრაინა უმკლავდება რუსეთს, რაც ჩვენთვისაც ხელსაყრელია.

- როგორც ცნობილია, საქართველოს ყველა ხელისუფლება ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, მაგრამ ამაოდ, რა არის ამის მიზეზი?

- უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ რუსეთი იმპერიული ქვეყანაა და ვერ ეგუება მეზობელი სახელმწიფოების სუვერენიტეტს, მით უფრო საქართველოსას. მაგალითად, გამსახურდიას მთავრობის დამხობაში რუსეთი აქტიურად მონაწილეობდა, შევარდნაძის მმართველობისას აფხაზეთი მიისაკუთრა, სააკაშვილის დროს აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ამუამად კი, როგორც გითხარით, ჩვენი ქვეყნის მიმართ მცოცავ ოკუპაციას ახორციელებს, და ბუნებრივია, ეს ჩვენი ქვეყნისთვის უმწვავესი საკითხია და ამან მთელი საქართველო უნდა გააერთიანოს. დასავლეთს უნდა შევახსენოთ, რომ არ სრულდება 2008 წლის აგვისტოში სარკოზი-მედვედევი-საკაშვილის ხელმოწერილი შეთანხმება. უფრო მეტიც, ეს ტერიტორიები დამოუკიდებელ ერთეულებად აღიარა რუსეთმა, თუმცა ამ მხრივ საწადელს ვერ მიაღწია, აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი მხოლოდ ვენესუელამ და ნიკარაგუამ აღიარეს.

- მცოცავი ოკუპაციით რუსეთს რისი მიღწევა სურს?

- რა თქმა უნდა, რუსეთის ინტერესი ძალიან დიდი და სერიოზულია. ამგვარი ქმედებებით და ნაბიჯებით იგი ცდილობს, ზემოქმედება მოახდინოს საქართველოზე, რაც გამოძახილია საგარეო პოლიტიკაში ჩვენი ქვეყნის წარმატებული ნაბიჯებისა, როგორიცაა თუნდაც ამას წინათ ნატოს სამხედრო წვრთნების ჩატარება, ჩვენს საზღვაო აკვატორიაში ნატოს სამხედრო ავიამზიდების შემოსვლა და სხვა... კრემლისთვის ეს, რასაკვირველია, მიუღებელია, ამიტომ მზად უნდა ვიყოთ მისი მხრიდან არასასურველი ქმედებებისთვის, მით უმეტეს, რომ მედვედევმა ამას წინათ განაცხადა, ქართული სახელმწიფო არ არსებობს და ის რუსეთს უნდა შეუერთდესო. მოკლედ, რუსეთის ხელისუფლება არ იცვლება, ისევ იმპერიალისტური ზრახვები ამოძრავებთ.

- გავრცელებულია აზრი, რომ ჩვენი ევროინტეგრაციის პროცესი განაპირობებს რუსეთის აგრესიას...

- რუსეთის აგრესიას განაპირობებს არა მხოლოდ საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა, არამედ ევროკავშირში გაწევრიანების მცდელობაც. მაგალითად, უკრაინის ევროკავშირთან დაახლოებამ ისე გააღიზიანა რუსეთი, რომ ყირიმი წაგლიჯა, სომხეთის ხელისუფლება კი დასაჯა დამოუკიდებელი პოლიტიკის გამო. არადა, პაშინიანი სულ არ ცდილობდა სომხეთის ნატოსთან და ევროკავშირთან დაახლოებას და არც რუსეთის ჯარის გასვლას ითხოვდა, მაგრამ მაინც დაისაჯა - რუსეთმა ყარაბახის ომში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და ამით აზერბაიჯანს გაუადვილა სომხეთის დამარცხება. სამხრეთკავკასიურ ქვეყნებს თუ სურთ, რომ თავი დააღწიონ რუსულ გავლენებს, საჭიროა დემოკრატიული რეფორმების გატარება, ადამიანის უფლებების დაცვა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოცდილების გაზიარება, ცხადია, ქვეყნის ინტერესების და სპეციფიკის გათვალისწინებით.

- ანტიდასავლური ძალები აცხადებენ, რომ დასავლეთი არაა დაინტერესებული საქართველოთი, რაც, მათი თქმით, მტკიცდება იმითაც, რომ ჩვენს ქვეყანას კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭა, რას გვეტყვით ამაზე?

- ამერიკისა და ევროკავშირისთვის ჩვენი ქვეყანა აქტუალურია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით. ის, რომ აშშ-ის და ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორები ვართ და ვიმყოფებით მათი ყურადღების ცენტრში, არახალი ამბავია. საქართველოს გეოპოლიტიკური დანიშნულება მსოფლიოსთვის ცხადზე უცხადესია, რაც შეეხება დეოკუპაციას და კანდიდატის სტატუსის საკითხს, ის კვლავ დღის წესრიგშია.

- რას გულისხმობთ?

- პირველი: აშშ-ის ბიუჯეტში საქართველოს და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ პარაგრაფების გაჩენას, მეორე - ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებას (აღიარეს რუსეთი აგრესორად). ეს დოკუმენტები ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების ურყევ მხარდაჭერას, სწორედ ამ ქმედებებით ცდილობს აშშ საქართველოს სუვერენიტეტის დაცვას საერთაშორისო არენაზე. ეს პროცესი გარკვეულ შედეგზეა ორიენტირებული და ხაზს უსვამს იმას, რომ ამერიკისთვის საქართველო არის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი რეგიონში.

- რას მოიმოქმედებს რუსეთი, რათა შენელდეს საქართველოს დასავლური კურსი?

- ცხადია, რომ რუსეთი გარკვეულწილად, ისეთ მექანიზმებს გამოიყენებს, როგორიცაა შანტაჟი, მუქარები, მცოცავი ოკუპაცია, ჯაშუშური ქსელი და ა. შ.

- დღესდღეობით რამდენად რეალურია ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია, მით უფრო, რომ რუსეთი უკრაინაში მარცხდება?

- ძნელია იმის თქმა, როდის აღდგება ქვეყნის მთლიანობა, რადგან ბევრი რამ ძალიან სწრაფად იცვლება თანამედროვე მსოფლიოში. თავის დროზე დასავლეთი ვერც გერმანიის გაერთიანებას წარმოიდგინდა, ვერც საბჭოთა კავშირის დაშლას და მით უმეტეს, ვერც ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატოში გაერთიანებას, მაგრამ დღეს ეს რეალობაა, ასე რომ, ერთი მხრივ, თუ დასავლეთი პრინციპული იქნება ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის კუთხით და მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური განვითარების და დემოკრატიის თვალსაზრისით სანიმუშო ქვეყანა გახდება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას წინ ვერაფერი დაუდგება.

- დაბოლოს, რა ფასეულობები გვაერთიანებს ევროპასთან?

- ევროპულ ფასეულობებში შედის ქართული ფასეულობებიც, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ჩვენ დღეს გეოგრაფიულად უფრო ვართ ევროპული სახელმწიფო, ვიდრე მენტალურად. რატომ? იმიტომ, რომ საბჭოთა წარსული გვქონდა და მისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტის შეცვლას დიდი დრო სჭირდება. ეს არც ისე ადვილია, მით უფრო, თუ რუსული პროპაგანდის გავლენაში მოექცევი და დაიჯერებ, რომ ევროპა გარყვნილია და რუსეთი „კეთილშობილი“. უმთავრესი განსხვავება დასავლეთსა და რუსეთს შორის იმაშია, რომ დასავლეთში დემოკრატიულ სტანდარტებს ზედმიწევნით იცავენ, ხოლო რუსეთი რაც არის, ვიცით: ერების ასიმილაცია, ეთნოწმენდა, ოკუპაცია, აგრესია... ეს არასრული სიაა იმ ქმედებებისა, რასაც მოსკოვი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ ახორციელებს.

> *„თუ რუსეთი უკრაინის მიმართ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, ამას მსოფლიო უყურადღებოდ არ დატოვებს. კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ-მა და ჩინეთმა რუსეთისგან მიიღეს გარანტია ბირთვული იარაღის არგამოყენების შესახებ, თუმცა, როგორც გითხარით, კრემლის მმართველებისგან ყველაფერია მოსალოდნელი*

უცხოეთი

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გამოხატა შეშფოთება, რომ უკრაინაში მიმდინარე ბრძოლა შეიძლება კონტროლიდან გამოვიდეს და რუსეთსა და ნატოს შორის ომად გადაიქცეს. „მოვლენები, შესაძლოა, საშინლად არასწორად განვითარდეს. უკრაინაში საშინელი ომია. ეს არის ასევე ომი, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს დიდ ომში ნატოსა და რუსეთს შორის. ყოველდღიურად ვმუშაობთ, რათა თავიდან ავიცილოთ ეს“, - აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა. Associated Press-ის ინფორმაციით, სტოლტენბერგმა ინტერვიუში განაცხადა, რომ „ეჭვგარეშეა, არსებობს სრულმასშტაბიანი ომის შესაძლებლობა“.

* * *

ჩვენ უნდა გადავხედოთ, თუ როგორ ვმუშაობთ „აღმოსავლეთ პარტნიორებთან“, რადგანაც სამი ქვეყანა გახდა კანდიდატი და ერთი არის ძალიან შორს ევროკავშირისგან, მე ვგულისხმობ ბელარუსს, - ამის შესახებ გუშინ საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჯოზეფ ბორელმა ბრიუსელში განაცხადა, სადაც ევროკავშირის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. „დღის წესრიგში გვაქვს ირანის საკითხი და რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მეცხრე პაკეტი, რომელიც ჯერ დასრულებული არ არის. იმედი მაქვს, შეთანხმებას მივაღწევთ“, - აღნიშნა ბორელმა. მინისტერიალის ერთ-ერთი თემა აღმოსავლეთ პარტნიორების ფინანსური დახმარებაა.

* * *

რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. ვლადიმერ პუტინმა და რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის ერთობლივი ენერგეტიკული პროექტების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, პირველ რიგში, გაზის ინდუსტრიაში. „პრეზიდენტმა ერდოღანმა გამოთქვა გულწრფელი სურვილი რუსეთ-უკრაინის ომის რაც შეიძლება მალე შეწყვეტასთან დაკავშირებით“, - აღნიშნავს თურქული მხარე. ერდოღანის ოფისის განცხადებით, ოფიციალურ ანკარას და მოსკოვს, შავი ზღვის მარცვლეულის დერეფნის გავლით, შეუძლიათ დაიწყონ მუშაობა სხვა საკვები პროდუქტებისა და საქონლის ექსპორტზე. ამასთან თურქეთის პრეზიდენტმა თურქეთ-სირიის საზღვარზე 30-კილომეტრიანი უსაფრთხოების დერეფნის შექმნა მოითხოვა.

* * *

ჩრდილოეთ კოსოვოში საპროტესტო აქციის მონაწილე ეთნიკურმა სერბებმა და კოსოვოს პოლიციამ ერთმანეთს ცეცხლი გაუხსნეს. აქციები შაბათს ყოფილი პოლიციელის დაკავებამ გამოიწვია. ის გასულ თვეში სერბების მასობრივი გადადგომის პროტესტს შეუერთდა, მას შემდეგ რაც პრიშტინამ განაცხადა, რომ სერბებს მოსთხოვს სერბული სანომრე ნიშნების გაუქმებას, რომლებიც დათარიღებულია 1998-99 წლებამდე. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ევროკავშირის მისიის საპატრულო ავტომობილს ხმოვან-მანათობელი ყუმბარა ესროლეს. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელმა განაცხადა, რომ „ბარიკადები დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას კოსოვოს სერბების ჯგუფების მიერ“.

მოამზადა
ია შველიძემ

რა ბერკეტები არსებობს შშმ ქალთა გაძლიერებისთვის?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„შშმ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში“ - აღნიშნულ თემაზე კონფერენცია გაიმართა, სადაც აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, საარჩევნო სისტემის საერთაშორისო ფონდის (IFES) საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა რენატა ლევოვსკიმ, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ლევან იოსელიანმა, ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძემ და მხარდამჭერი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილეს ყურადღება, მათ შორის შშმ ქალების უფლებრივ მდგომარეობაზე ჩვენს ქვეყანაში, ძალადობაზე, გენდერულ თანასწორობაზე და ერთად იმსჯელეს იმ გზებზე, რომელიც აღნიშნული მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრას შეუწყობს ხელს

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ლევან იოსელიანის განცხადებით, არცერთი შშმ ქალი არ არის პოლიტიკაში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ზოგადად ქალებისთვის უამრავი ბარიერი არსებობს, რათა პოლიტიკური აქტივობა წამოიწყონ, განახორციელონ და შემდეგ წარმატებას მიაღწიონ. მისი თქმით, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი შშმ ქალი გამოჩნდეს პოლიტიკაში, პირველ რიგში, აუცილებელია გარემოს ადაპტაცია და ხელმისაწვდომობა ყველა რესურსზე, რაც სხვა ნებისმიერ პირს გააჩნია ჩვენს ქვეყანაში. მისივე განმარტებით, აღნიშნულის უზრუნველყოფა არის გზა, რომელიც გაიხსნება მათთვის როგორც პოლიტიკისკენ, ასევე ბიზნესისკენ და ყველა სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებით. ლევან იოსელიანის განცხადებით, შშმ პირთა არსებობის შესახებ მაქსიმალურად ხშირად უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია საზოგადოებას, უნდა ავუხსნათ მათ, რომ ისინი ამ საზოგადოების ნაწილი არიან და შევქმნათ ისეთი გარემო, სადაც დავინახავთ ამ ადამიანების მნიშვნელობას ყველა დონეზე.

> **„ზოგადად, ჩვენს ქვეყანაში ქალები უამრავ ბარიერს აწყდებიან, აღარაფერს ვამბობ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე, რომლებიც პრაქტიკულად იზოლირებული არიან მთელი ამ პროცესისგან, ისე როგორც კაცები, მაგრამ ეს ქალების მიმართ კიდევ უფრო გამოხატული და აშკარაა. ისინი, პრაქტიკულად, ვერ მონაწილეობენ ვერანაირ პოლიტიკურ პროცესში. რაც შეეხება მიზეზებს, უამრავია**

- ზოგადად, ჩვენს ქვეყანაში ქალები უამრავ ბარიერს აწყდებიან, აღარაფერს ვამბობ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე, რომლებიც პრაქტიკულად იზოლირებული არიან მთელი ამ პროცესისგან, ისე როგორც კაცები, მაგრამ ეს ქალების მიმართ კიდევ უფრო გამოხატული და აშკარაა. ისინი, პრაქტიკულად, ვერ მონაწილეობენ ვერანაირ პოლიტიკურ პროცესში. რაც შეეხება მიზეზებს, უამრავია, შეიძლება ითქვას, ჯაჭვი მიზეზების, დაწყებული კულტურული ფენომენიდან ჩვენი ქვეყნის და დამთავრებული გარემოს ადაპტაციით შშმ პირებზე. ამ ყველაფრის ერთობლიობა შეუძლებელს ხდის, ქალების ჩართვას პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. თუ შშმ პირს არ აქვს კომფორტული გადაადგილების შესაძლებლობა, რა პოლიტიკაზეა საუბარი? გავიმეორებ, ზოგადად, ქალებისთვის რთულია ბარიერების დაძლევა, შშმ პირებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ ამ პრობლემებზე ღიად საუბარი არის ერთ-ერთი გამოსავალი. ჩემი ერთგვარი რეკომენდაცია იქნებოდა, სახელმწიფოს შშმ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში პრიორიტეტად ჰქონდეს გაწერილი. გარდა ამისა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება არის ძალიან მნიშვნელოვანი. რა თქმა უნდა, დღევანდელი სურათი ფუნდამენტურად განსხვავდება თუნდაც ათი წლის წინანდელისგან, მაგრამ, ეს აბსოლუტურად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ქალებმა გადაწყვიტონ დამოუკიდებლად პოლიტიკაში მონაწილეობა. ხელისუფლების პირდაპირი ვალდებულებაა, იზრუნოს შშმ პირთა შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე და ის, რაც კეთდება მათი ყოველდღიურობის გასაუმჯობესებლად, უნდა გაკეთდეს ხარისხიანად. ვფიქრობ, დაცინვაა შშმ პირების, როცა თითქოს უჩენ შესაძლებლობას, რომლითაც წინასწარ იცი, რომ ვერ ისარგებლებენ, - განაცხადა ლევან იოსელიანმა.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ასევე ისაუბრა ქალთა მიმართ ძალადობის გახშირებულ ფაქტებზე. მისი განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობას გაეცეს ადეკვატური პასუხი. ლევან იოსელიანმა დასძინა, რომ სასჯელი ყოველთვის არ არის მიზნის მიღწევის საშუალება.

- საბჭოთა კავშირში იყო ყველაზე მკაცრი კანონი იმდროინდელ სამყაროში, მაგრამ ვერ უზრუნველყოფდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციას, ქალთა მიმართ სათანადო მოპყრობას. ჩემი აზრით, ამას სჭირდება ძალიან ძლიერი სოციალური კამპანიები, განათლება. არ ძალადობს მხოლოდ განათლებული ადამიანი, ძალადობენ ისინი, ვისაც სამწუხაროდ, არ ჰქონდა საშუალება. მიეღო ის განათლება, რომელიც დააზღვევდა მას ძალადობისგან. ასე რომ, კანონის შესაბამისობა უნდა იყოს და ეს ლოგიკურია, მაგრამ მარტო კანონის სიმკაცრე ვერ უზრუნველყოფს ამ პრობლემის გადაჭრას, ამას სჭირდება საზოგადოების ყველა ფენის ჩართვა და იმის გააზრება, რომ ძალადობა არის ცუდი, აუცილებელია სახელმწიფომ იფიქროს მოძალდის რეაბილიტაციაზეც, სასჯელის მიზანი არ არის სამაგიეროს გადახდა, სასჯელის მიზანი არის ადამიანის ნორმალურ, სოციალურ ცხოვრებაში დაბრუნება, - განაცხადა ლევან იოსელიანმა.

აღნიშნული მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე, გაზეთ „აჭარასთან“ ასევე ვრცლად ისაუბრა აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძემ, რომელმაც შშმ ქალთა უფლებების რეალიზებისთვის თანასწორი პირობების, თანასწორი გარემოს შექმნაზე გაამახვილა ყურადღება.

- თუ ჩვენ სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი უნდა გავაგრძელოთ, რა თქმა უნდა აქ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია იმ ჯგუფების ხელშეწყობა, რომლებმაც თავად უფრო კარგად იციან ვიდრე ჩვენ, თუ რა სჭირდება შშმ პირს, რა აძლევს მათ სტიმულს, იყვნენ პოლიტიკურ საქმიანობაში, საარჩევნო პროცესში აქტიურად ჩართულები. თანაბარი შესაძლებლობები გულისხმობს მათ შორის თანაბარ წვდომას საარჩევნო პროცესში. გამოწვევები რომ არსებობს არა მხოლოდ შშმ ქალთა მიმართ, არამედ, ზოგადად, ქალთა მიმართ პოლიტიკაში მონაწილეობის, ეს არის ჩვენი საზოგადო გამოწვევა, რომლის გამოსწორებაზეც ძალიან ბევრს მუშაობს სახელმწიფოც და სამოქალაქო საზოგადოებაც. ვფიქრობ, აუცილებელია კიდევ უფრო მეტი საინფორმაციო კამპანია ამ მიმართულებით და თავად ქალების მონდომებაც, რომ ძალიან ბევრ გადამწყვეტ პროცესში მიიღონ მონაწილეობა. მართალია, გააქტიურებულია პროცესები ქალების მხრიდან, თუმცა საკმარისი არ არის. აუცილებელია სამიზნე პროგრამების არსებობა ჯანდაცვის, ეკონომიკის, სოციალური მიმართულებით. რაც უფრო ბევრი საგრანტო და მუნიციპალური პროექტი იქნება, მით მეტად გაზრდის შშმ ქალების ჩართულობას ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ამა თუ იმ პროცესში, - განაცხადა ცოტნე ანანიძემ. მან ასევე უპასუხა ჩვენს შეკითხვას, თუ რა უნდა გაკეთდეს ქალთა მიმართ ძალადობის ბოლოდროინდელი სტატისტიკის შესამცირებლად ქვეყანაში. ცოტნე ანანიძე მიიჩნევს, რომ მხოლოდ სანქციების გამკაცრება ვერ უზრუნველყოფს ახალი დანაშაულის პრევენციას.

- ქალთა მიმართ ძალადობის ნაწილი, როგორც სტამბულის კონვენციის სულისკვეთება ამბობს, არის კომპლექსური შრომა და ეს არის პირველ რიგში ცნობიერების ამაღლება, რომელიც საყოველთაო მუშაობით მიიღწევა. განათლება არის, ამ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი, რომ მოხდეს გარკვეული დიაგნოსტირება არსებული მდგომარეობის. ასევე, უმთავრესი არის გამოვლინება. თუ ჩვენ სტატისტიკას ვუყურებთ და ვამბობთ, რომ იმატა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებმა, რეალურად, ჩემი აზრით, და ამაში ალბათ ბევრი სპეციალისტი დამეთანხმება, კი არ იმატა, არამედ იკლო ქალთა მიმართ ძალადობამ, აქ გამოვლინებამ მოიმატა და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. გამოვლინების გარეშე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, პრაქტიკულად, აზრს კარგავს. ფაქტის გამოვლენას ძალიან ბევრი სტერეოტიპული ბარიერი აქვს ჩვენს საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს ფუნქცია არის გამართული კანონმდებლობა (პრაქტიკულად ეს ნაწილი მიღწეულია), ძალიან პროფესიონალი სამართალდამცავები და სტრუქტურები. ყველა საჯარო უწყების თანამშრომელს აქვს გარკვეული ტიპის პასუხისმგებლობა ძალადობის გამოვლენის, საინფორმაციო პოლიტიკის თვალსაზრისით და შემდგომში უკვე აუცილებელია სამართლიანი სამართალწარმოება. აუცილებელია შესაბამისი სრულფასოვანი კვლევა, მსხვერპლის, ან სავარაუდო მსხვერპლის წვდომა ყველა სერვისზე და ასევე, სტატუსის არარსებობის შემთხვევაში, მსხვერპლის სტატუსის ქონა იმისათვის, რომ გარკვეული სერვისები მიიღოს ქალმა, მათ შორის თავშესაფარში, - განაცხადა ცოტნე ანანიძემ.

მან ისაუბრა მოძალადის რეაბილიტაციის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ დამნაშავის რესოციალიზაცია უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ცოტნე ანანიძის თქმით, პენიტენციალურ დაწესებულებაში ყოფნის დროს მოძალადემ უნდა მიიღოს ყველა ფსიქოლოგიური შესაძლებლობა, მათ შორის მორალური, იმისათვის, რომ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის სურვილი აღარ გაუჩნდეს.

შშმ ქალების პოლიტიკაში ჩართულობაზე ისაუბრა შშმ ქალთა ალიანსის აღმასრულებელმა დირექტორმა დეა ერემაშვილმაც, რომელიც მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა თავად შშმ ქალთა თემშია, რადგან ისინი მიჩვეული არიან პასიურობას, ასევე, უჭირთ საზოგადოებაში ინტეგრაცია.

- ქალთა ორგანიზაციები, რომლებიც არიან ქალთა მოძრაობის ძირითადი ძალა, არ ხედავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს საკუთარ თანასწორ პარტნიორებად. რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას, მე და კიდევ ერთი ქალბატონი შეზღუდული შესაძლებლობით, ვართ ბათუმის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და აქტიურად ვართ ჩართული ყველა პროცესში, მაგრამ ალბათ უფრო ჩვენი როლი არის ის, რომ ჩვენნაირმა ორგანიზაციებმა, რომლებიც უფლებადაცვითი მიმართულებით ვმუშაობთ, ცნობერების ამაღლების კუთხით მეტი გავაკეთოთ, რათა მეტ შშმ ადამიანს შევუწყოთ ხელი გარეთ გამოვიდნენ. თუმცა, სახელმწიფოსაც ეკისრება კონვენციით ეს ვალდებულება და მათაც უნდა იმუშაონ ძალიან ბევრი იმისთვის, რომ შექმნან ისეთი გარემო, სადაც ადამიანები თავისუფლად შეძლებენ არსებობას და გადაადგილებას, - განაცხადა დეა ერემაშვილმა.

კონფერენცია, აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საagენტოს (USAID), ღია სივრცე კავკასიას (COS) და ევროკავშირი საქართველოსთვის მხარდაჭერით, სიმბოლურად უფლებადამცველთა საერთაშორისო დღეს გაიმართა.

უკრაინა

აშშ-ისა და უკრაინის პრეზიდენტებს ჯო ბაიდენსა და ვოლოდიმირ ზელენსკის შორის სატელეფონო საუბარი შედგა. უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ინფორმაციით, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ჯო ბაიდენს მადლობა გადაუხადა უკრაინისთვის აღმოჩენილი უპრეცედენტო თავდაცვისა და ფინანსური დახმარებისთვის. მისი თქმით, ეს ხელს უწყობს არა მხოლოდ ბრძოლის ველზე წარმატებას, არამედ ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნებასაც. ამასთან, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ამერიკელ კოლეგას მიაწოდა ინფორმაცია რუსული სარაკეტო ტერორის შედეგების შესახებ, რამაც უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაახლოებით 50%-ის განადგურება გამოიწვია. ვოლოდიმირ ზელენსკიმ შეაქო აშშ-ის მიერ გამოყოფილი დახმარება უკრაინის ენერგეტიკული სისტემის რეკონსტრუქციისთვის და ამ სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების იმედი გამოთქვა. „პრეზიდენტმა ასევე ხაზი გაუსვა ძლიერი საჰაერო თავდაცვის მნიშვნელობას. ვოლოდიმირ ზელენსკიმ პრეზიდენტ ბაიდენს მოუწოდა, ყველაფერი გააკეთოს უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობისა და მისი კრიტიკული ინფრასტრუქტურის დასაცავად. უკრაინის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის ლიდერს იმისთვის, რომ დაადასტურა მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს უკრაინას მანამ, სანამ ეს საჭიროა, ასევე, ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისადმი შეერთებული შტატების მკაფიო და თანმიმდევრული ერთგულებისთვის“, - აღნიშნულია უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ინფორმაციაში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ „დიდი შვიდეულის“ სამიტიდან უკრაინას სიახლეები ელოდება. „დიდი შვიდეულის“ სამიტი დღეს გაიმართება. სამიტში მონაწილეობას უკრაინაც მიიღებს. ახლა ჩვენ კოორდინირებული გვაქვს ჩვენი პოზიციები ამერიკასთან. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი სამიტი. იქნება სიახლეები“, - აღნშნა ზელენსკიმ ჯო ბაიდენთან სატელეფონო საუბრის შემდეგ. მისი თქმით, ამერიკელ კოლეგასთან საუბრისას იგრძნო, რომ უკრაინული მშვიდობის ფორმულა დადებითად აღიქმება. „ეს ოპტიმიზმს მმატებს“, - აღნშნა პრეზიდენტმა ზელენსკიმ. მისი თქმით, რაც უფრო მალე განხორციელდება ფორმულის პუნქტები, მით უფრო ძლიერი იქნება უსაფრთხოების გარანტიები უკრაინისა და მთელი ევროპისთვის. „უკვე ვიწყებთ მუშაობას გლობალურ სამშვიდობო სამიტზე. ეს არის სამიტი, რომელიც უკრაინის მშვიდობის ფორმულას რეალობად აქცევს“, - აღნიშნა ზელენსკიმ. შეგახსენებთ, ვოლოდიმირ ზელენსკი კვირას მსოფლიოს სამ ლიდერს, აშშ-ის, საფრანგეთისა და თურქეთის პრეზიდენტებს ესაუბრა.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრ ოლექსი რეზნიკოვის განცხადებით, თავდაცვის ძალები განაახლებს აქტიურ კონტრშეტევას, როდესაც ნიადაგი გაიყინება და ტექნიკის გადაადგილება გამარტივდება. „იყო წვიმები და ძალიან რთული პირობები ნებისმიერი მიმართულებით თავდასხმისთვის, რადგან მიწა ნოტიოა და ბორბლიან ტექნიკას გადაადგილება თითქმის არ შეუძლია, მაგრამ უკრაინის შეიარაღებული ძალები გაჩერებას არ აპირებს. ნიადაგი მყარი რომ გახდება, დარწმუნებული ვარ, გავაგრძელებთ კონტრშეტევებს, ჩვენი ტერიტორიების გათავისუფლების კამპანიას“, - აცხადებს რეზნიკოვი. მისივე თქმით, უკრაინის გეგმა „ძალიან მარტივია - ეს არის უკრაინის ყველა დროებით ოკუპირებული ტერიტორიის გათავისუფლება 1991 წლის მდგომარეობამდე, როდესაც უკრაინის საზღვრები საერთაშორისოდ იქნა აღიარებული“.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ქალთა კამერული გუნდი 25 წლისაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის მერიის კულტურის ცენტრის ქალთა აკადემიურმა გუნდმა საიუბილეო თარიღი აღნიშნა - ის 25 წლის წინათ დააფუძნა მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, სამუსიკო ხელოვნების დოქტორმა, აჭარის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწე ზაირა ვადაჭკორიამ. მთავარი დირიჟორი გახლავთ აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გელა ვადაჭკორია

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ამ გუნდმა არაერთი მნიშვნელოვანი წარმატება იზეიმა - არის საერთაშორისო საგუნდო კონკურსებისა და ფესტივალების პრიზიორი, მედლის, დიპლომისა თუ საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი. გუნდი ასრულებს ურთულეს პოლიფონიურ, ჰარმონიულ, სინორულ კომპოზიციებს. მის შესრულებას ახასიათებს ნატიფი ინტონირება და მდიდარი ტემბრული პალიტრა. რეპერტუარშია კლასიკური, რომანტიკული და თანამედროვე მუსიკა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო მუსიკას, საეკლესიო ქორალებს.

ეს კოლექტივი ქართველ და ახალგაზრდა ავტორთა საგუნდო მუსიკის სპექტრის წარმოჩენით ხაზს უსვამს მის წვლილს ეროვნული ტრადიციების გაღრმავება-გაძლიერებაში, ქართული მუსიკის განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

საგუნდო ხელოვნება მუსიკირების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა, საქართველოში კი მისი განსაკუთრებული, სხვებისგან გამორჩეული ტრადიციაა საუკუნეების განმავლობაში, როგორც ხალხურ, ისე პროფესიულ მუსიკაში, რომელიც დღემდე არსებობს და ვითარდება. ქართველი კომპოზიტორები ნაწარმოებს საფუძვლად უდებდნენ ქართულ ეროვნულ მუსიკას და მის ტრადიციებს. ქართული აკადემიური საგუნდო მუსიკა სათავეებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში იღებს. აკადემიურმა საგუნდო შესრულებამ სათავე დაუდო ქართულ პროფესიულ მუსიკას... ამ ტრადიციების გამგრძელებელია ბათუმის ქალთა აკადემიური გუნდი, რომელსაც გამორჩეული პროფესიონალები ხელძღვანელობენ. ზაირა და გელა ვადაჭკორიებმა ბათუმის №2 სამუსიკო სკოლა დაამთავრეს, შემდეგ - ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება, მოგვიანებით კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

ზაირა ვადაჭკორიამ ამავე კონსერვატორიის ჯერ ასპირანტურის, შემდეგ დოქტორანტურის კურსიც გაიარა და სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა. 1993-1996 წლებში მუშაობდა აჭარის სახელმწიფო საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად, 1993-1996 წლებში - ბათუმის საოპერო თეატრის მთავარ ქორმაისტერად. გელა ვადაჭკორია 1988-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელაში. მათი უნარიანი ხელმძღვანელობით გუნდმა არაერთხელ მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე უცხოეთში.

საიუბილეო კონცერტმა, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ბათუმის №1 სამუსიკო სკოლის დიდ დარბაზში გაიმართა, თავიდანვე დადებითად განაწყო მსმენელი. ზაირა ვადაჭკორიამ დარბაზს წარუდგინა თბილისიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამობრძანებული სტუმრები, რომელთა შორის გახლდათ საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, „ხელოვნების ქურუმისა“ და ღირსების ორდენის მფლობელი მანანა ახმეტელი, საქართველოს ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი, დირიჟორი, სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური გუნდის დირიჟორობის კათედრის პროფესორი არჩილ უშვერიძე (მან გუნდს თბილისის საერთაშორისო ფესტივალის სახელით საპატიო სიგელი გადასცა), საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრი, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, ფოთის საპატიო მოქალაქე, კომპოზიტორი რუსუდან ხორავა, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების მედლის მფლობელი, შესანიშნავი დირიჟორი და ქორმაისტერი ლიანა ლომიაშვილი. ქალბატონმა ზაირამ გზადაგზა გუნდის დაარსების ისტორიაც შეახსენა მსმენელს.

გუნდმა მაღალ პროფესიონალურ დონეზე შესთავაზა დარბაზში მსხდომთ არაჩვეულებრივი რეპერტუარი. გუნდი და სოლისტები, როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. თითოეული სიმღერის შესრულებას ოვაციებით ეგებებოდა დარბაზი. გუნდი და სოლისტები ბრწყინვალედ ასრულებდნენ არაერთ საგუნდო ნაწარმოებს, რომლებიც ხელმძღვანელების - ზაირა და გელა ვადაჭკორიების დირიჟორობით, დიდი შრომის შედეგად ასე უზადოდ წარმოგვიდგინეს. საღამოზე პირველად შედგა სამუსიკო სკოლის პედაგოგის, ახალგაზრდა საქსაფონისტ ზურაბ ჯეგნარაძისა და გუნდის კოლაბორაცია, მათ ერთად შესთავაზეს დარბაზს ლამაზი ნომერი - შესრულდა ჯორჯ გერშვინის ნაწარმოები.

კონცერტის ბოლოს ბათუმის მერიის მოქალაქეთა საკითხების განყოფილების უფროსმა ირინა შერვაშიძემ, გუნდის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის დამსახურებული მოღვაწის წოდებების მინიჭების შესახებ ბათუმის მერის ბრძანებები წაიკითხა. დაჯილდოებულთა შორის არიან გუნდის სოლისტები და წევრები, რომლებიც ამ კოლექტივში დაარსების დღიდან მოღვაწეობენ: ნატალია ვადაჭკორია, ნონა ვართანიანი, ქეთევან ვადაჭკორია, ნატალია ვართანიანი, მზია აბესლამიძე, ირინა ტრაპაიძე.

საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით დამსახურებული მოღვაწის წოდებები ასევე მიენიჭათ ბათუმის კულტურის ცენტრში მოღვაწე რამდენიმე ადამიანს, მათ შორის, ლოტბარ თეიმურაზ დოლიძეს, ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელ მერაბ ბოჭორიშვილს, ჯაზ ბიგ-ბენდის კურატორს, კონცერტმაისტერს და რეპეტიტორ ილია ესიტაშვილს, კულტურის ცენტრის დირექტორ ირაკლი შაფათავას.

იქვე გაცხადდა, რომ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით და ნაყოფიერი საქმიანობის აღსანიშნავად, ბათუმის ქალთა კამერულ გუნდს აკადემიურის საპატიო წოდება მიენიჭა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ საიუბილეო თარიღი მიულოცა გუნდს და საგუნდო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ზაირა და გელა ვადაჭკორიები მინისტრ მაია ხაჯიშვილის მიერ ხელმოწერილი სიგელით დაჯილდოვა.

გუნდს საიუბილეო თარიღი მიულოცა ბათუმის ვიცე-მერმა სოფო ხალვაშმა: „ჩვენ ერთი ამოსუნთქვით მოვისმინეთ ის, რაშიც უდიდესი შრომაა ჩადებული. მათმა ხელმძღვანელებმა წარმატებულად მოიტანეს ჩვენამდე ყველაფერი“, - აღნიშნა მან.

აქვე გთავაზობთ პროფესიონალების შეფასებებს.

ლიანა ლომიაშვილი:

- ზაირას მასწავლებელი ვიყავი კონსერვატორიაში, ჩემი მეუღლე გივი მუნჯიშვილი გელა ვადაჭკორიას ასწავლიდა. დღეს ორივე ჩამოყალიბებული, აკადემიური დირიჟორია - ისეთი, ყველა დონის კოლექტივს რომ დაამშვენებდა. მთელი სულითა და გულით, დიდი პროფესიონალიზმით ემსახურებიან კულტურას, რაც ძალიან მახარებს.

არჩილ უშვერიძე:

- ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ აქ გუნდის მოსმენის საშუალება მოგვეცა, რადგან თბილისში როცა ჩამოდიან, იქ ბევრის მოსმენის საშუალება არ გვეძლევა. ჩემთვის ეს საღამო ძალიან კარგი სიურპრიზი იყო ამ გუნდისგან -კიდევ ერთხელ დამტკიცება მისი მაღალი კვალიფიკაციისა, მრავალჟანრობრიობისა, ორი ხელმძღვანელის ძალიან კარგი ნამუშევარი - მათი მუსიკოსობა, დირიჟორობა, ანუ როგორც დირიჟორის კარგად გაცნობა. თვითონ თარიღი - 25 წელი არ არის ცოტა. როგორღაც რეტროსპექტულად გაირბინა ჩვენს გონებაში იმ ტიტანურმა შრომამ, რომელსაც ეს კამერული გუნდი ეწევა და აქ თითოეული მომღერლის შრომა ძალიან დასაფასებელია. მოკრძალებული მადლობა ბათუმს, რომ ასეთ მხარდაჭერას უცხადებს საგუნდო მუსიკას.

> ***„ჩემთვის ეს საღამო ძალიან კარგი სიურპრიზი იყო ამ გუნდისგან - კიდევ ერთხელ დამტკიცება მისი მაღალი კვალიფიკაციისა, მრავალჟანრობრიობისა, ორი ხელმძღვანელის ძალიან კარგი ნამუშევარი - მათი მუსიკოსობა, დირიჟორობა, ანუ როგორც დირიჟორის კარგად გაცნობა***

რუსუდან ხორავა:

- აღფრთოვანებას ვერ ვმალავ იმის გამო, რომ ეს გუნდი ნამდვილად არის აკადემიური, რომელიც ხაზს უსვამს თავის პროფესიონალიზმს, ემოციას, დრამატურგიას... ეს არის ძალიან ღირსეული კოლექტივი საქართველოში, რომელსაც შესანიშნავი ქორმაისტერები ხელმძღვანელობენ - ზაირა და გელა ვადაჭკორიები. ამ პროფესიონალიზმსა და საქმის ერთგულებას ემატება მათი არაჩვეულებრივი სულიერი საზრისი, რომელიც სავსეა სისპეტაკით. მათ საკმაოდ მაღალ ხარისხში შეასრულეს ურთულესი ნაწარმოებები. წლების განმავლობაში შეინარჩუნო ხარისხი, ეს არ არის ადვილი, ბევრს ეს არ გამოსდის. ყველაფერს საფუძვლად უდევს ტიტანური შრომა, რომელიც ორივემ გასწია. დღევანდელი საღამო ძალიან ფასეული იყო, და არამარტო ჩემთვის. 25 წელზე მეტია, რაც მათთან ვმეგობრობ. ისინი არაჩვეულებრივად ასრულებენ ჩემს სიმღერებსაც. შესანიშნავი სოლისტები ჰყავთ. ახალ წარმატებებს ვუსურვებ.

მანანა ახმეტელი:

- ამ გუნდს წლებია, ვადევნებ თვალყურს და მიხარია, რომ მუდამ განვითარების პროცესში იმყოფება. მიუხედავად ცხოვრებისმიერი, დროისმიერი წინააღმდეგობებისა, დაუბრკოლებლად მიდიან წინ და ეს დიდი შრომის შედეგია. მადლობა შესანიშნავ მუსიკოსებს - ზაირას და გელას ასეთი თავდაუზოგავი შრომისთვის, ნიჭისთვის, საქმისადმი ერთგულებისთვის. ნამდვილად სამაგალითო ადამიანები არიან, რომლებიც არაფერს უშინდებიან და თავის საქმეს პირნათლად აკეთებენ. ყველამ ვნახეთ, როგორი მრავალფეროვანი პროგრამა გამოიტანეს, მრავალჟანრული. საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი ქართული საგუნდო სიმღერა... სასიხარულოა, რომ ჩვენი კომპოზიტორების სიმღერები ძალიან კარგად სრულდება. ეს ხელს უწყობს ჟანრის განვითარებას. ხელმძღვანელები ექსპერიმენტებს, ძიებებს არ უშინდებიან - დასავლეთის კლასიკა, თანამედროვე მუსიკა, ძალიან მრავალფეროვანი შემოქმედება აქვთ. იგრძნობა ზეაწეული საკონცერტო სულისკვეთება. მადლობა მათ და, საერთოდ, ბათუმელებს.

დიანა ფალავანიშვილი:

- არც ისე დიდი ხანია, რაც გუნდში ვმღერი, ყველაზე უმცროსი წევრი ვარ, მიხარია, რომ ასეთ პროფესიონალებთან ვმუშაობ. პროფესიონალიზმთან ერთად, ნამდვილად ღირსეული პიროვნული თვისებებიც არ აკლიათ. მათგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ. იმედი მაქვს, დიდხანს ვიქნები მათ გვერდით.

საღამოზე რამდენიმე ისეთი მილოცვა გაჟღერდა, რომელთა ავტორები, მათ შორის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი შავერზაშვილი, მუსიკოსი ეკატერინე კეჭაყმაძე, ჩვენი უსაყვარლესი თანაქალაქელი იოსებ ბარდანაშვილი აქ არ იმყოფებოდნენ. ბატონი სოსო წერილი მუსიკოსმა თამაზ ნიკოლაიშვილმა წაიკითხა: „ყველაფერი „ჩემით“ დაიწყო, 1986 წელს დავინიშნე ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად და დიდი სურვილი მქონდა, სასწავლებლის ცხოვრება კარდინალურად შემეცვალა, მისთვის საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული სასწავლებლის სახელი დამებრუნებინა, მცირე დროში ამოქმედდა რამდენიმე კოლექტივი... ბედმა გამიღიმა და სწორედ იმ პერიოდში ბათუმს დაუბრუნდნენ თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულები, ახალგაზრდა, ნიჭიერი დირიჟორები მარინე ლომთათიძე, ზაირა და გელა ვადაჭკორიები. ფაკულტეტის პედაგოგთა ხელშეწყობით, მათი პროფესიული ზრდისთვის შევძელი, მომენახა ადგილები. მათი დამსახურება იყო, რომ მოქმედი კოლექტივები აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკაში გამართულ მნიშვნელოვან ღონისძიებებში. არაერთი გასვლითი კონცერტიც ჰქონდათ. ჩემი დირექტორობის პერიოდში გაზრდილი თაობა უდგას დღეს სათავეში ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებას, მათ შორის, სახელმწიფო კაპელასა და ქალთა აკადემიურ გუნდს. ვამაყობ მათით - ეს ქართული კულტურის წარმატებაა. მადლიერი ვარ ქალთა კამერული გუნდისა, რომ არ მივიწყებთ და სხვა ქართველ კომპოზიტორებთან ერთად, მათ შორის სოსო კეჭაყმაძისგან (ისიც ხომ ბათუმიდანაა), ასრულებთ ჩემს ნაწარმოებებს. ისრაელში კვლავაც გელიან. წარმატებები. კვლავაც გაგვახარეთ“.

ზაირა და გელა ვადაჭკორიებმა მადლობა გადაუხადეს ქალაქ ბათუმის მერიას, მერიის კულტურის სამსახურს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მერიის კულტურის ცენტრს დაფასების, მხარდაჭერის, გვერდით დგომისთვის.

«ჩემი მიზანია, ხულოს მსგავსად, ქარგვა-ქსოვის ჯგუფები ხეობებში ავამოქმედოთ»

აჭარის მთიანეთის სოფლებში ქარგვა-ქსოვის, ჭრა-კერვის ოსტატებს ახლა იშვიათად შეხვდებით. ზემო ვაშლოვანელი ნაილე აბულაძე ერთ-ერთია, ვინც წინაპართა ტრადიციებს განაგრძობს. პროფესიით პედაგოგი, გეოგრაფიის მასწავლებელი უკვე ხელობას სხვებსაც ასწავლის. ნაილე ჩვენი გაზეთის სტუმარია

- ზემო ვაშლოვანი ტრადიციების მიმდევარი, ეროვნული ადათ-წესების დამცველი სოფელია. აქაური დურგლები, ქვაზე კვეთის, ქარგვა-ქსოვის, ჭრა-კერვის ოსტატები ხულოში ცნობილნი არიან. ის მშვენიერი ოდასახლები, ტურისტული ობიექტები, რომლებიც ზემო ვაშლოვანს მიმზიდველს ხდის, ადგილობრივების აშენებულ-გაწყობილია. მეც ხელმარჯვეთა ოჯახში ვიზრდებოდი. დედა ქარგვა-ქსოვის ოსტატი იყო, მამა - ჭრა-კერვის. მახსენდება ზამთრის უხვთოვლიანი დღეები. დედა მარინას და მე გვერდით მოგვისვამდა, ყაისნაღსა და წინდის ჩხირებს მოიმარჯვებდა და ქსოვას გვასწავლიდა. მაშინ სოფელში ნაქსოვი წინდები, მოსასხამები, კაშნეები მოდაში იყო. ჩემი მოსწავლეობისა და სტუდენტობის პერიოდი წინა საუკუნის 90-იან წლებს დაემთხვა. ყველას გვახსოვს იმდროინდელი ეკონომიკური მდგომარეობა. შალის ტანსაცმელთან ერთად აბრეშუმის, სხვა ნაწარმის ძაფებს ვყიდულობდით და ვქსოვდით. მშობლებს სარჩო-საბადებლის შოვნაში მეც ვეხმარებოდი.

- მარტო თქვენ გაჰყევით ამ საქმეს თუ...

- ჭრა-კერვას, ქარგვა-ქსოვას მარინაც «ეპარება», მაგრამ ჯერჯერობით პროფესიონალის დონემდე ვერ ამაღლდა. ორი ძმა მყავს. გივი ქვის მოხელეა, გელა - დურგალი.კარგი ხელოსანი დღეს სანთლით საძებარია. ჩვენდა საბედნიეროდ, გიასა და გელას სოფელში ბადალი არ ჰყავთ. საქმე არ ელევათ, ოჯახებში შემოსავალი გაიჩინეს. მე თუ მკითხავთ, კარგი ხელოსანი სოფელსაც გამოაჩენს და ქვეყანასაც.

- მასწავლებლის პროფესიას ზურგი ამიტომ შეაქციეთ?

- მივიჩნევ, რომ მასწავლებლობა მარტო საკლასო ოთახში მოსწავლეებისთვის გადაცემული ცოდნით არ განისაზღვრება. დედა ჩემთვის ხელობის კარგი მასწავლებელი იყო. ვიდრე საგანმანათლებლო კერაში სამუშაოს გამოვნახავდი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში სპეციალისტად მუშაობა დავიწყე. იქაც ბავშვებს ქარგვა-ქსოვას ვასწავლიდი. ხულოში, ჩემი თანასოფლელის სიმონ ართმელაძის ინიციატივით, სამხატვრო სკოლა გაიხსნა. მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები სასკოლო დისციპლინებსაც წარმატებით ითვისებენ. კულტურის ცენტრში, სადაც ამჟამად წამყვან სპეციალისტად ვმუშაობ, არსებობს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი «არგინეთი». ამ ანსამბლში დაფრთიანებული ბავშვები ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები გახდნენ. ადამიანს ნიჭი და სურვილი თუ აქვს, ყველა ბარიერს გადალახავს. უკვე კულტურის ცენტრთან, ხულოს მუნიციპალიტეტის მერისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მხარდაჭერით, შეიქმნა გოგონათა ჯგუფი, რომლებსაც ქარგვა-ქსოვას ვასწავლი. გული შემტკივა, რომ ხულოს სოფლებში აღარ ჰყავთ ცხვარი. როგორც მახსოვს, აქაურ ცხვარს უფრო ფაფუკი და ნაზი მატყლი ჰქონდა, ვიდრე სხვა კუთხეებისას. ფაფუკი და გრძელი მატყლი ადვილად იჩეჩება, ირთვება და იძახება. ქსოვის დროსაც იოლი მოსაყოლიებელია.

- თქვით, რომ ქარგვა-ქსოვა დედამ გასწავლათ. შვილებს თუ გადასცემთ?

- მაკა მოსწავლე რომ იყო, ქსოვისთვის დროს ნახულობდა. სტუდენტს, ინგლისური ენის მომავალ სპეციალისტს, ახლა პოლონეთის რესპუბლიკაში გაცვლითი პროგრამით მყოფს, ხელობისთვის აღარ სცალია. სამაგიეროდ, ჩემს მოქსოვილ ქუდებს, შარფებს, მოსასხამებს კარგად იყენებს. მისი მეგობრებისგან დაკვეთებიც მივიღე.

- კიდევ ვისგან იღებთ დაკვეთებს?

- ჩემს ნახელავს იცნობენ თბილისში, ბათუმში, მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ინეგოლში. ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები ოლიმპიადებზე, ფესტივალებზე, სხვა ღონისძიებებზე რომ მიდიან, ნახელავით მეც მივყვები. 10-ზე მეტი გასვლა და გამოფენა მქონდა. ნახელავს ყიდულობენ, დაკვეთებსაც მთავაზობენ. მეტწილად, ჭრელ წინდებს, ქალის ქუდებს, მოსასხამებს მიკვეთავენ. შარშან ჩემი ნახელავით იაპონიის საელჩოს წარმომადგენლებიც დაინტერესდნენ. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი იაპონიის საელჩოს თანადგომა ხულოს მუნიციპალიტეტისადმი. ისინი, როცა აქტივობებს ატარებენ, ჩემი ნაქსოვებითაც ინტერესდებიან. შემოდგომაზე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის «ზე-კართან» დასკვნითი ღონისძიება ხულოს თეატრის ეზოში გაიმართა. გვანცა ჯობავა, შორენა ლებანიძე, ნინო მოდრეკილაძე ჩემი ნაქსოვებით დაინტერესდნენ. მე ჩემი ნახელავით გავახარე, მათაც სამახსოვროდ წიგნები დამიტოვეს. ბათუმში გამართულ «განდაგანის» ფესტივალზე დიდი იყო დაინტერესება, ხიხაძირში «ტბელობის» სახალხო დღესასწაულზე მატყლის წინდები, მოსასხამები შეიძინეს.

- საქმეს მარტო აუდიხართ თუ...

- მატყლის შეძენას, შემდეგ მის დამუშავებას დიდი დრო მიაქვს, შრომატევადი საქმეა, ქალიშვილი პოლონეთშია, მეუღლე რომან ართმელაძე ხულოს საჯარო სკოლის მასწავლებელია, ვაჟი საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესადმინისტრირების სპეციალობის სტუდენტია. ჩემთვის ისინი დროს ვერ ნახულობენ, ამიტომ ხელობას მარტოდ მივყვები. მე ქარგვა-ქსოვის გარეშე არსებობა ვერ წარმომიდგენია. წიგნს ვკითხულობ თუ საინტერესო ტელეგადაცემას ვუყურებ, ხელსაქმეს ვერ ველევი.

- მუნიციპალიტეტს ქსოვა-ქარგვას მიმდევრები თუ ჰყავს?

- ღორჯომის ხეობაში ქარგვა-ქსოვას ბევრი მისდევს, კარგი ხელი აქვს ხიხაძირის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ თინა გაბაიძეს. რამდენიმე ღონისძიებაზე გამოფენები ერთად გავმართეთ. ჩემი მიზანია, ხულოს მსგავსად, ქარგვა-ქსოვის ჯგუფები ხეობაში ავამოქმედოთ, ამ წამოწყებაში თანადგომას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისგან ველოდები.

- ხელსაქმე ნედლეულის და მასალის გარეშე წარმოუდგენელია...

- უკვე რამდენიმე წელია ჯავახეთში მყოფი მეცხვარეებისგან ნედლეულს ვყიდულობთ. მეცხვარეობას ძველებურად იქაც აღარ მისდევენ. ნედლეულის გაძვირება ნაწარმსაც აძვირებს. მატყლის წინდები რომ მოქსოვო, ხუთი დღის სამუშაოა, ზოგიერთები გაიძახიან, ნაწარმი ასე ძვირად რატომ ფასობსო, გამოგიტყდებით, რომ პროდუქციის ღირებულება დაკარგული დროის, ენერგიის მინიმუმსაც ვერ ანაზღაურებს. ნედლეულს ადგილზე რომ ვიძენდეთ, უკეთესი იქნება.

- საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ ხელოვნების, ხელოსნობის ნიმუშების გადასარჩენად. მათ როლს როგორ აფასებთ?

- ამ ღონისძიებებს მივესალმები. ქარგვა-ქსოვა, ჭრა-კერვა, ხეზე, ქვაზე კვეთა ქართული ოჯახისთვის დამახასიათებელი საქმეები იყო. ადრე გვქონდა მაღალი დონის პროფესიული სასწავლებლები. სოფელში მჭედელს შეგირდები ჰყავდა. იგივეს აკეთებდნენ თერძები, მქსოველები, მქარგავები, დურგლები, ქვაზე კვეთის ოსტატები. სოფელში ნამგალს, ცელს ამზადებდნენ. მახსენდება თქვენს გაზეთში დაბეჭდილი სტატია ქედელ ოსტატზე, რომელიც თავის სამჭედლოში ცეცხლსასროლ იარაღს ამზადებდა. იგი კარგი მჭედელიც იყო. ახლა მის საქმეს შვილი აგრძელებს. იარაღის ოსტატები მაჭახლის ხეობაშიც მრავლად იყვნენ. მივესალმები საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის, ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გატარებულ ღონისძიებებს. როგორც ერთი ხელობის მიმდევარი, მათთან აქტიურად ვთანამშრომლობ, ჩართული ვარ იმ მოძრაობებში, რასაც საქართველოს, აჭარის კულტურის სისტემის მესვეურები, ფოლკლორის ეროვნული ცენტრი აკეთებენ. ხულოში - ნანა შაინიძის, შუახევში - ირმა კეკელიძის, ქედაში - ლია მახარაძის სახით გამოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებიც ქართულ ფოლკლორს აცოცხლებენ. ქარგვა-კერვის, ხეზე კვეთის, თუნდაც ქვაზე მუშაობის ოსტატების წარმოსაჩენად ჯერ ადგილობრივი, შემდეგ რესპუბლიკური ღონისძიებების გამართვა მრავალ ადამიანს წარმოაჩენს, მათ საქმიანობას სტიმულს მისცემს.

ბეშუმსა და 13 სოფელში სასმელი წყლის სისტემები მოეწყო

ხულოს მუნიციპალიტეტში სპეციალურმა კომისიამ მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი დამთავრებულად ცნო. მათ შორისაა კურორტ ბეშუმისა და 13 სოფლის სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია

პროექტის ფარგლებში განხორციელდა: სოფელ ბეღლეთის, გელაძეების, კორტოხისა და პაქსაძეების სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია; სოფელ მინთაძეებში, გორგაძეებში, ჭახაურში, სკვანაში, კვატიაში, ბოღაურში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა; კურორტ ბეშუმში სასმელი წყლის სამარაგო რეზერვუარის მოწყობა; სოფელ ქედლებში, დიაკონიძეებში და ზედა თხილვანაში - სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. 2022 წელს სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 776 979 ლარი დაიხარჯა.

ხულოში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 83 ლოკაციაზე 195 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მთლიანი ბიუჯეტი 1 მილიონ ლარზე მეტი იყო. აქედან გარე განათების მოწყობას მოხმარდა 473 ათასი ლარი, სოფლებში სასმელი წყლის სისტემების განახლებას - 161 ათასი ლარი, შიდასაუბნო გზებზე ბეტონის საფარის დაგებას - 260 ათასი ლარი, სხვა პროექტებზე კი 160 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა.

„ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები“

ქედის მუნიციპალიტეტში ადამიანის უფლებათა დაცვისადმი მიძღვნილ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, დასკვნითი ღონისძიება- „ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები“ - გაიმართა, რომელსაც ტრენერი თიკო გიორგაძე უძღვებოდა

შეხვედრას მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები ესწრებოდნენ. დისკუსია გაიმართა ზოგადი განათლების აუცილებლობაზე, საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელობაზე ნაადრევი ქორწინების შესაძლო რისკების და უარყოფითი მხარეების შესახებ, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, სახელმწიფოს მექანიზმებზე ქალთა უფლებების დასაცავად.

მოსწავლეებს თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა საჩუქრად გადაეცათ.

ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია 25 ნოემბერს - ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს დაიწყო და 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს დასრულდა, რომლის ფარგლებში ხუთი ღონისძიება გაიმართა.

დასკვნითი ღონისძიების ორგანიზებას ადმინისტრაციული სამსახურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სპეციალისტები უწევდნენ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს საერთაშორისო ტენდერის წინასაკვალიფიკაციო ეტაპს პროექტის „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება“ ფარგლებში ბათუმის 12 საჯარო საბავშვო ბაღის ენერგოეფექტურად რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით

წინასაკვალიფიკაციო ცნობა პროექტისთვის „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება შენობებში“

ქვეყანა: **საქართველო**
დამსაქმებელი: **ბათუმის მუნიციპალიტეტი**
პროექტი: **„ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება შენობებში“**
დაფინანსების წყარო: **გერმანიის ფინანსური თანამშრომლობა**
გრანტის No: **BMZ-No. 2017 68 696**
ხელშეკრულებები: **ხელშეკრულებები 1 - 4**
KFW შესყიდვის No: **509062**
შეტყობინების ტიპი: **წინასაკვალიფიკაციო ცნობა**
გამოცემის თარიღი: **12 დეკემბერი, 2022 წელი**
ბოლო ვადა: **24 იანვარი, 2023 წელი**

1. ბათუმის მუნიციპალიტეტმა მიიღო დაფინანსება KfW განვითარების ბანკისგან და აპირებს შემოსული თანხის ნაწილი გამოიყენოს პროექტისთვის „ენერგოეფექტურობის ღონისძიებებისა და ევროკავშირის ენერგოეფექტურობის სტანდარტებთან დაახლოება შენობებში“. პროექტის საერთო მიზანია ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება, მდგრადი სტრუქტურების უზრუნველყოფა და შერჩეულ საბავშვო ბაღებში მომხმარებლებისთვის კომფორტის პირობების გაუმჯობესება. მომავალში ენერგიის დაზოგვა ხელს შეუწყობს სათბური ემისიების შემცირებას და ბათუმის მდგრად განვითარებას.

2. ბათუმის მუნიციპალიტეტი აპირებს აპლიკანტების წინასწარ კვალიფიკაციას 12 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, რომლებიც გადანაწილებულია ოთხ (4) ცალკეულ ხელშეკრულებაში და რომლებიც მდებარეობს ბათუმის ცენტრში. სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს საბავშვო ბაღების ენერგოეფექტურ რეაბილიტაციას და მოდერნიზაციას, მათ შორის სტრუქტურული მთლიანობის, ენერგოეფექტურობისა და ძირითადი კომფორტის გაზრდას. განმცხადებლებს უფლება აქვთ განაცხადი წარადგინონ ერთ, რამდენიმე ან ყველა კონტრაქტზე.

განმცხადებლის უფლებამოსილების და კვალიფიკაციის დადგენის მიზნით, განმცხადებლებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი სხვა მოთხოვნებს შორის არსებითად აკმაყოფილებენ შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) არ არის გამოცხადებული KfW-ის მიერ დაუშვებლად და/ან არ ექვემდებარება სანქციებს არც გერმანიის, არც ევროკავშირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრიდან ამ ინსტიტუტების მიერ ტერორიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებით შექმნილი გამორიცხვის სიების შესაბამისად;

ბ) არანაირი ინტერესთა კონფლიქტი;

გ) ხელშეკრულების შეუსრულებლობა არ მომხდარა განმცხადებლის, როგორც მთავარი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის ან ქვეკონტრაქტორის შეუსრულებლობის შედეგად ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში;

დ) არ არის შეჩერებული სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაციის შესრულების საფუძველზე;

ე) განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის სიმტკიცე ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის გზით;

ვ) სამშენებლო გამოცდილება ბოლო ათი (10) წლის განმავლობაში, მათ შორის ენერგოეფექტური გათბობის სისტემების, თბო ფასადის იზოლაციის, ენერგოეფექტური ფანჯრების, კარების ან მზის ჩრდილების დაყენება, ელექტროსამუშაოები და მონტაჟი შენობებში;

ზ) ISO 9001 ხარისხის მართვის სერთიფიკატი.

მოსალოდნელია, რომ სატენდერო წინადადების მოწვევა 1-ლი კონტრაქტის წინასწარკვალიფიცირებული პრეტენდენტებისთვის განხორციელდება 2023 წლის გაზაფხულზე. სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო დაწყების თარიღი 2023 წლის ზაფხული/შემოდგომაა.

3. წინაკვალიფიკაცია ჩატარდება KfW განვითარების ბანკის „საკონსულტაციო მომსახურების, სამუშაოების, ქარხნის, საქონლისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის სახელმძღვანელოში პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობისას“ (ხელმისაწვდომია KfW-ის ვებ-გვერდზე) განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და ღიაა ყველა უფლებამოსილი განმცხადებელისთვის, როგორც ეს მასშია განსაზღვრული.

4. დაინტერესებულ კანდიდატებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ბათუმის მუნიციპალიტეტიდან სამუშაო საათებში ქვემოთ მოცემულ კონტაქტებზე. წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტის სრული ნაკრები ინგლისურ ენაზე შეიძლება მიღებულ იქნეს ელექტრონულად ფორმატში, უფასოდ დაინტერესებული აპლიკანტების მიერ წერილობითი განაცხადის წარდგენის შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე:

რუსუდან ჟოჟაძე
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი
rzhozhadze@gmail.com

წერილობით განცხადებას უნდა დაერთოს თავფურცელი, რომელშიც მკაფიოდ არის მითითებული კომპანიის სახელი, საცხოვრებელი ქვეყანა და საკონტაქტო ინფორმაცია.

5. წინასაკვალიფიკაციო განაცხადები წარდგენილ უნდა იქნეს ძირითადად ინგლისურ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე ფოსტით ან ხელით მკაფიოდ მონიშნულ და დალუქულ კონვერტებში არაუგვიანეს **2023 წლის 24 იანვრის 12:00 (შუადღის) საათისა ევროპის ცენტრალური დროით.** წარდგენის შემდეგ, წარდგენის დრო და თარიღი ოფიციალურად ჩაიწერება.

1 (ერთი) ორიგინალი, 2 (ორი) ნაბეჭდი ასლი და 1 (ერთი) სკანირებული ელექტრონული ასლი PDF ფორმატში, გაგზავნილ/ჩაბარებულ იქნას მისამართზე:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი
ბათუმის მერია
ქ. ლუკა ასათიანის ქ. №25.
ბათუმი 6010
საქართველო

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორიგინალი აპლიკაციების წარდგენას. ბათუმის მუნიციპალიტეტში განსაზღვრული იქნება საბუთების მიღების დრო. დაგვიანებული განაცხადები უარყოფილი იქნება და დაბრუნდება გაუხსნელად.

ბათუმი, 2022 წლის დეკემბერი

PREQUALIFICATION NOTICE OF THE PROJECT ENERGY EFFICIENCY MEASURES AND APPROACH TO EU-ENERGY EFFICIENCY STANDARDS IN BUILDINGS

Country: **Georgia**
Employer: **Municipality of Batumi**
Project: **Energy Efficiency Measures and Approach to EU-Energy Efficiency Standards in Buildings**
Funding Source: **German Financial Cooperation**
Grant No.: **BMZ-No. 2017 68 696**
Contracts: **Contracts 1 - 4**
KfW Procurement No.: **509062**
Type of Notice: **Prequalification Notice**
Issued on: **12 December 2022**
Deadline: **24 January 2023**

1. The Municipality of Batumi has received financing from KfW Development Bank and intends to apply part of the proceeds toward payments under the project "Energy Efficiency Measures and Approach to EU-Energy Efficiency Standards in Buildings". The overall objective of the project is to improve the energy efficiency performance, to ensure sustainable structures and to improve comfort conditions for users in selected kindergartens. Future energy savings will contribute to reduced greenhouse emissions and to sustainable development in Batumi.

2. The Municipality of Batumi now intends to prequalify Applicants for construction works of 12 kindergartens allocated into four (4) separate Contracts located within the city centre of Batumi. Construction works comprise of the energy-efficient rehabilitation and modernization of the kindergartens, amongst others the increase of structural integrity, energy efficiency, and basic comfort. Applicants are permitted to apply for individual, several, or all Contracts.

For purposes of establishing an Applicant's eligibility and qualification, Applicants must demonstrate that they substantially satisfy, among others, the following minimum requirements:

a) Not been declared ineligible by KfW, and/or not subject to sanction from either Germany, the European Union or the United Nations in accordance with the lists of exclusion established by these institutions regarding fight against terrorism;

b) No conflicts of interest;

c) Non-performance of a contract did not occur as a result of Applicant's default as a prime contractor, joint venture member or subcontractor within the last five (5) years;

d) Not under suspension based on execution of Bid Securing Declaration;

e) Soundness of Applicant's financial position through submission of audited financial statements for the last five (5) years;

f) Construction Experience within the last ten (10) years including installation of energy efficient heating systems, thermal fa?ade insulation, energy-efficient windows, doors or sunshades, and electrical works and installations in buildings;

g) ISO 9001 Quality Management certificate.

It is expected that the Invitation for Bids for prequalified Bidders of Contract 1 will be made in Spring 2023. Tentative commencement of the construction works is summer/autumn 2023.

3. Prequalification will be conducted in accordance with the procedures as specified in KfW Development Bank's "Guidelines for Procurement of Consulting Services, Works, Plant, Goods, and Non-Consulting Services in Financial Cooperation with Partners Countries" (available on KfW's website[1]) and is open to all eligible Applicants as defined therein.

4. Interested eligible Applicants may obtain further information from the Municipality of Batumi during office hours, at the contacts below. A complete set of the Prequalification Document in English may be obtained electronically in PDF format free of charge by interested Applicants upon submission of a written application to the following e-mail address:

Ms. Rusudan Zhozhadze
Head of Municipality Policy Department
rzhozhadze@gmail.com

The written application shall be accompanied by a cover letter clearly stating the company name, country of domicile and contact details.

5. Applications for prequalification should be submitted predominately in English language to the address below either by mail or by hand in clearly marked and sealed envelopes by **12:00 (noon) GMT+4 on 24 January 2023.** Upon submission, the time and date of submission will be officially recorded.

1 (one) original, 2 (two) hard copies and 1 (one) scanned electronic copy in PDF format addressed to:

Municipality of Batumi
Batumi City Hall
25 Luka Asatiani Str.
Batumi 6010
Georgia

The submission of the original Application is decisive. The time of receipt of the original documents at the Municipality of Batumi will prevail. Late Applications will be rejected and returned unopened.

Batumi, December 2022

[1] https://www.kfw-entwicklungsbank.de/PDF/Download-Center/PDF-Dokumente-Richtlinien/FZ-Vergaberichtlinien-V-2021-EN.pdf

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 12/12/22, 21 35 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„წლის წარმატებული ხელოვანი“ – აჭარის ხელოვანთა მხარდაჭერისა და წახალისებისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ხელოვანი ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ მხარდაჭერას და ეს დღე ამის ძალიან კარგი გამოვლინება იყო“, „ხელოვნება და ხელოვანია ის მთავარი განძი, რომელსაც ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ და დავაფასოთ“, „ნამდვილად მნიშვნელოვანი დღე ჩაიწერა ჩვენი ქალაქის კულტურული ცხოვრების ისტორიაში“ - არაერთი მსგავსი შეფასება გამოითქვა კულტურის სფეროს მთავარი ჯილდოს „წლის წარმატებული ხელოვანი“ გადაცემის ცერემონიაზე, რომელიც ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ამაღლებული ემოციების ფონზე წარიმართა

პირველად ჩვენი რეგიონის ისტორიაში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ „წლის წარმატებული ხელოვანის“ სხვადასხვა ნომინაციაში ოცი წარმატებული ხელოვანი დააჯილდოვა. უწყების ინფორმაციით, ღონისძიების მიზანი აჭარის ხელოვანთა მხარდაჭერა, წახალისება და მოტივაციის ამაღლებაა. მათივე განმარტებით, გამარჯვებულმა ნომინანტებმა წელს, და არამხოლოდ, საკუთარი მოღვაწეობით განსაკუთრებულ პროფესიულ წარმატებას მიაღწიეს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ და დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის პოპულარიზაციაში.

აღსანიშნავია, რომ ნომინანტთა შორის გამარჯვებულები, კონკურსის წესით, სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა, რომელიც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში სხვადასხვა უწყების მონაწილეობით შეიქმნა. ჯილდო სახელწოდებით „ოვაცია“ ცნობილმა ქართველმა მოქანდაკე ირაკლი წულაძემ შექმნა, რომელიც გულშემატკივართა და თაყვანისმცემელთა იმ ემოციებს ასახავს, რომელსაც ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანები იმსახურებენ. ღონისძიების დასაწყისში საღამოს წამყვანმა ბერდია კუტუბიძემ აჭარის ხელოვან ადამიანთა დამსახურებასა და ღვაწლზე ისაუბრა, მისი თქმით, მსგავსი დაჯილდოების ცერემონია გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას პატივი მივაგოთ ხელოვანებს, რომლებიც, მართალია, აღარ არიან ჩვენთან ერთად, მაგრამ მათი ნიჭის ნაყოფი და შემოქმედებითი წვლილი სამარადჟამოდ დარჩება თაობებს.

კონკურსის სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს ჯილდოები აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ გადასცეს. თითოეულმა მათგანმა გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა და შემდგომშიც ნაყოფიერი და საინტერესო საქმიანობა უსურვა ნომინანტებსა და ყოველ ხელოვანს.

- მინდა მივულოცო და წარმატებები ვუსურვო დღეს დაჯილდოებულ თითოეულ ხელოვანს. აქვე მსურს, მადლობა გადავუხადო ქალბატონ მინისტრს - მაია ხაჯიშვილს ამ მნიშვნელოვანი წამოწყებისთვის, რომელიც, ვფიქრობ, აუცილებლად იქცევა ტრადიციად. ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო ჩვენს მოსახლეობას. გისურვებთ წარმატებებს, ჯანმრთელობას, მშვიდობასა და განვითარებას, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძემ.**

სანამ რამდენიმე გამარჯვებულის შთაბეჭდილებას გაგიზიარებდეთ, სრულად წარმოგიდგენთ იმ ადამიანთა სიას, რომლებიც კულტურის სფეროში მთავარი ჯილდოს მფლობელები გახდნენ:

წლის მუსიკოსი - **თათია კობალაძე;**

წლის მხატვარი - **ბადრი ართმელაძე;**

წლის მწერალი/პოეტი - **სანდრო ბერიძე;**

წლის დებიუტი - **ანსამბლი „ზღვის შვილები“;**

წლის ახალგაზრდა ხელოვანი - **ნიკა ფუტკარაძე;**

წლის ქართული ფოლკლორის შემოქმედი - **ირაკლი სირაბიძე;**

წლის კინოხელოვანი - **ზაზა ხალვაში;**

წლის მუსიკალური ჯგუფი - **ბსუ-ის ბენდი „OFF SIDE“;**

წლის საერთაშორისო წარმატება - **სულხან ჯაიანი;**

წლის ფოტოხელოვანი - **გურამ ტურაშვილი;**

წლის პედაგოგი სახელოვნებო დარგში - **ნატალია ორაგველიძე;**

წლის ქორეოგრაფი - **შალვა გოგუაძე;**

წლის ლოტბარი - **გიორგი ჩხარტიშვილი;**

წლის მუზეუმელი - **გურამ ჩხატარაშვილი;**

ჯილდო თეატრალურ ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის - **მაია ცეცხლაძე;**

წლის კულტურის მიმომხილველი ჟურნალისტი - **მანანა ძიძიშვილი;**

წლის მენეჯერი კულტურის სფეროში - **თეონა ზოიძე;**

კულტურის სფეროში შეტანილი წვლილისთვის - **ზვიად ბოლქვაძე, მარიამ ჯახუტაშვილი, თემურ ბიბილეიშვილი.**

სამინისტროს სპეციალური პრიზი გადაეცა **ვახტანგ ბერიძეს** და მთლიანად **აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას** რეგიონში პროფესიული სახელოვნებო განათლების პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

გაზეთი „აჭარა“ ზღვა წარმატებასა და სიკეთეს უსურვებს თითოეულ გამარჯვებულს. ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია კოლეგის, ღვაწლმოსილ ჟურნალისტ მანანა ძიძიშვილის შრომის დაფასება, რომელიც ათწლეულებია, მართლაც ერთგულად ემსახურება ღირსეული ხელოვანების და მათი გაკეთებული საქმეების წარმოჩენას.

- მადლობას ვუხდი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩემი მოკრძალებული შრომის დაფასებისთვის. მადლობა ჩემს კოლეგებს, უფროს და უმცროს მეგობრებს მოლოცვისთვის, სიყვარულისა და სითბოსთვის, - ასე გამოხატა თავისი მადლიერება **მანანა ძიძიშვილმა,** რომელიც წლის კულტურის მიმომხილველ ჟურნალისტად დასახელდა.

გაზეთ „აჭარასთან“ საკუთარ შთაბეჭდილებებზე სხვა გამარჯვებულებმაც ისაუბრეს.

შალვა გოგუაძე - წლის ქორეოგრაფი:

- შეიძლება ვერ გამოვხატო ის ემოცია, რასაც ვგრძნობ, მაგრამ შევეცდები. მინდა

უღრმესი მადლობა გადავუხადო პროექტის ორგანიზატორებს, თითოეულ ადამიანს, ვინც თუნდაც მცირე წვლილი შეიტანა მის განხორციელებაში, რადგან ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა სახელოვნებო წრისთვის. ძალიან მიხარია, რომ ვფლობ ამ ჯილდოს და ყველას გინაწილებთ ამ სიხარულს.

ნიკა ფუტკარაძე - წლის ახალგაზრდა ხელოვანი:

- მინდა, მადლობა გადავუხადო ღონისძიების ორგანიზატორებს, მართლაც არაჩვეულებრივი იდეაა. მიზეზი, რის გამოც ვდგავარ აქ, არის დედაჩემი - ლელა რაზმაძე, ერთი უბრალო ქალბატონი, გამორჩეული თავისი ზნეობითა და ადამიანობით. მადლობა ყველა გულშემატკივარს. ჩემი მენტორი, ქალბატონი ბელა ქებურია ახლა აქ რომ იყოს, მეტყოდა: „თავში არ აგივარდეს“, ვფიქრობ, ნამდვილად კარგი რჩევაა. აქვე მინდა, ხაზი გავუსვა ფაქტს, რაც გულს მტკენს ამ წუთას - ამ ტკივილს უკრაინა ჰქვია. მინდა მხარდაჭერა გამოვუცხადო უკრაინელ ერს, ასევე იმ ქართველ გმირებს, რომლებიც იბრძვიან იქ და ჩვენს წილ საქართველოს დაატარებენ. მადლობას ვუხდი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს არაჩვეულებრივ გუნდს, რომლის მეშვეობითაც ხელოვანები აქ ვართ დღეს და თავს მნიშვნელოვნად, დაფასებულად ვგრძნობთ. ყველაზე დიდი მადლობა უბრალო მსმენელს, რომლის შეფასების გარეშე ჩვენ არაფერი ვიქნებოდით.

ნატალია ორაგველიძე - წლის პედაგოგი სახელოვნებო დარგში:

- იცხოვრე ისე, რომ შენი ყოფნა იყოს აუცილებელი, ხოლო არყოფნა - შესამჩნევი. ალბათ ასე მიცხოვრია დღემდე. ამაყი და უბედნიერესი ვარ, ასეთი არაჩვეულებრივი აუდიტორიისა და ხელმძღვანელობის წინაშე რომ წარვსდექი. უზომოდ მიყვარს ჩემი საქმე და არ ვშრომობ ჯილდოსთვის, მაგრამ დიდ შრომას რომ მოჰყვება განსაკუთრებული შედეგი, ამის აღნიშვნა კი ასეთ სადღესასწაულო გარემოში ხდება, რა თქმა უნდა, ხელოვანისთვის ეს უკიდეგანო ბედნიერებაა. უღრმესი მადლობა ყველას, ყველას! სანამ შემეძლება მუშაობა, ყოველთვის ვიქნები ქართული ნიჭის, ქართული გენის დამცველი, მუსიკალური ხელოვნების ელჩი მთელ მსოფლიოში. ნამდვილად დიდი პოტენციალია ჩვენს ბავშვებში, ამიტომ ჩვენი ვალია, ეს ნიჭიერება მსოფლიოს ვაჩვენოთ.

თეონა ზოიძე - წლის მენეჯერი კულტურის სფეროში:

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საიხარულო დღეა ჩემს ცხოვრებაში. ეს ჯილდო მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს როგორც ჩემს ბიოგრაფიაში, ასევე ჩემს გულში. პირველ რიგში, მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო საინიციატივო ჯგუფის მიმართ, რომელმაც წარმადგინა ამ ჯილდოზე. ასევე, ძალიან დიდი მადლობა კომისიის თითოეულ წევრს, რომელიც ნომინანტებს ინდივიდუალურად, სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით აფასებდა. მადლობა ჩემს ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს, მეზობლებს, სტუდენტებს, რომლებიც გულშემმატკივრობდნენ. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მაია ხაჯიშვილს, რადგან იგი მოტივაციას აძლევს ადამიანებს, რომლებიც შრომობენ, უყვართ საკუთარი საქმე, ახორციელებენ და ნერგავენ ნოვაციებს, პასუხობენ თანამედროვე გამოწვევებსა და უსმენენ მსოფლიო პულსაციას. მადლობას ვუხდი თამარ გუდავას, ადამიანს, რომელსაც არცერთი წუთი არ შეუძლია იცხოვროს სიყვარულის, სითბოსა და პროფესიონალიზმის გარეშე, რაც ღონისძიებასაც ეტყობოდა; დიდი მადლობა აჭარის მუზეუმის თითოეულ თანამშრომელს მთელი წლის განმავლობაში დაუღალავი შრომის, ერთგულებისა და პროფესიონალიზმისთვის; მადლობა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძეს, თითოეული ნომინანტის დაფასებისთვის, გვერდში დგომისთვის. აჭარის მუზეუმებისთვის ეს ჯილდო იქნება საწინდარი და მოტივაცია მომავალში უფრო დიდი მწვერვალების დასაპყრობად.

ირაკლი სირაბიძე - ქართული ფოლკლორის შემოქმედი:

- უღრმესი მადლობა ყველას. დღეს ისეთი ადამიანები დაჯილდოვდნენ, მათ გვერდით მოხვედრამ მღელვარება მომიმატა, მაგრამ მაძლიერებს თქვენი, საზოგადოების სიყვარული. მადლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქალბატონებს - მაია ხაჯიშვილს, თამარ გუდავას, მადონა თევზაძეს, ბატონ აკაკი ძნელაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ყოველთვის გვერდით გვიდგას ხელოვან ადამიანებს. ეს ჯილდო მინდა მივუძღვნა ტარიელ მამალაძეს, მაესტროს, რომელიც რამდენიმე წელია, აღარ იმყოფება ჩვენ გვერდით და რომელმაც მომცა ზემოაჭარული ფოლკლორის წარმოჩენაში ჩემი წვლილის შეტანის საშუალება.

გურამ ტურაშვილი - წლის ფოტოხელოვანი:

- მართალია, არ ვარ ემოციური, მაგრამ ძალიან ვღელავ დღეს და ამის მიზეზი ჯილდოა, რომელიც გადმომეცა. დიდი მადლობა

დღევანდელი არაჩვეულებრივი საღამოს ორგანიზატორებს, აუდიტორიას, ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი სიხარული. ეს ჯილდო, ნამდვილად არის თითოეული ჩვენგანის შრომის დაფასება, რაც სტიმულს და ენერგიას გვმატებს. როგორც საღამოს წამყვანმა აღნიშნა, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის ერთ-ერთი ფოტომემატიანე ვარ. მართლაც ძალიან დიდი ფოტოარქივი დამიგროვდა, რომელსაც ალბათ მოგვიანებით მუზეუმს გადავცემ, რათა მომავალ თაობას შემოვუნახო ის ფოტოემოციები, რაც ამ წლების განმავლობაში შევაგროვე. მინდა ყველა ფოტოგრაფს, მომავალ ფოტოხელოვანებს ვუსურვო წარმატება და ვუთხრა, რომ ფოტოგრაფია საკმაოდ რთული პროფესიაა, რომელიც დიდ შრომას, დროს მოითხოვს და აუცილებლად უნდა იყვნენ ამისთვის მზად.

საზეიმო ღონისძიების შემდეგ ემოციები გაგვიზიარა და ხელოვანებს მნიშვნელოვანი წარმატება მიულოცა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მაია ხაჯიშვილმა:**

- ეს ჯილდო ყველა ხელოვანისთვის უნდა იქცეს დამატებით მოტივაციად, დამატებით გამოხატულებად იმ სიყვარულისა და პატივისცემისა, რაც აქვს საზოგადოებას მათი ხელოვნების მიმართ. ვფიქრობ, ასეთი ჯილდო, რომელიც მთავრობის, სამინისტროს სახელით გადაეცათ დღეს ჩვენს ხელოვანებს, მათ ცხოვრებასა და ხელოვნებაში ახალ ფურცელს შექმნის, დარწმუნებული ვარ, ეს ახალი სიტყვა იქნება მათთვის. იქიდან გამომდინარე, რა გამოხმაურებაც მოჰყვა უშუალოდ ხელოვანებში და თვითონ ქალაქში აღნიშნულ ღონისძიებას, ვფიქრობთ, იგი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მომავალშიც.